იბნ აშური

ტრაქტატი შარიათის მიზნებისა და ამოცანების შესახებ



იასი-ს წიგნების სერია

იბნი აშური

ტრაქტატი შარიათის მიზნებისა
და ამოცანების შესახებ

მუჰამმად ატ-ტაჰირ იბნ აშური

ორიგინალი გამოცემა თარგმნილია არაბულიდან და
ანოტირებულია მოჰამედ ათ-თაჰირ ალ-მესავის მიერ
ადაპტირებულია ელისონ ლეიკის მიერ

International Institute
of Islamic Thought

გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2023

იბნ აშური ტრაქტატი შარიათის მიზნებისა და ამოცანების შესახებ (Georgian)
მუჰამმად ატ-ტაჰირ იბნ აშური
იასი-ს წიგნების ადაპტირებული სერია

© ისლამური აზროვნების საერთაშორისო ინსტიტუტი (იასი),
ცოდნის ინტეგრაციის ინსტიტუტი.
1444ჰ/2023
Paperback ISBN: 978-9941-33-442-9

Ibn Ashur Treatise on Maqasid al-Shari'ah (Georgian)
Muhammad al-Tahir Ibn Ashur
IIIT Books-In-Brief Series

© The International Institute of Islamic Thought, (IIIT)
1435AH/2013CE
Paperback ISBN 978-1-56564-551-6
IIIT
P.O. Box 669,
Herndon, VA, 20172, USA
www.iiit.org

ინგლისურიდან თარგმნა ქეთევან არახამიამ
თარგმანის თეოლოგიური რედაქტორი: ტარიელ ნაკაიძე
ფილოლოგიური რედაქტორი: ნაზი კოჩალიძე
ცოდნის ინტეგრაციის ინსტიტუტი
საქართველო, თბილისი ც.დადიანი №7 ბიზნეს და სავაჭრო ცენტრი ქარვასლა A-508
ikiacademy.org

პუბლიკაცია მომზადებულია გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტთან თანამშრომლობით
საავტორო უფლება დაცულია. სავალდებულო გამონაკლისებისა და შესაბამისი კოლექტიური ლიცენზირების შესახებ შეთანხმების დებულებებიდან გამომდინარე, არცერთი ნაწილის გამრავლება არ შეიძლება მოხდეს გამომცემლების წერილობითი ნებართვის გარეშე.
წინამდებარე ნაშრომში გამოხატული შეხედულებები და აზრები ეკუთვნის ავტორს და შეიძლება არ ემთხვეოდეს გამომცემლის მოსაზრებებს.

გამომცემლობა **„უნივერსალი"**, 2023

თბილისი, 0186, ა. ჰოლიტაოვსაიას №4, ☎: 5(99) 17 22 30, 5(99) 33 52 02
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

იასი-ს წიგნების სერია

იასი-ს წიგნების ადაპტირებული სერია წარმოადგენს ინსტიტუტის მიერ მომზადებული საკვანძო პუბლიკაციების ამსახველ ღირებულ კოლექციას, რომელიც ორიგინალის, სრული ტექსტის, მკითხველი საზოგადოებისთვის მარტივად აღქმის მიზნით შემოკლებული ფორმითაა დაწერილი. აღნიშნული ნაშრომი, დროის დაზოგვის მიზნით, წარმოდგენილია რა შემოკლებული ფორმით და ადვილად წასაკითხი სახით დროს დაზოგვის მიზნით, ეს თანდართული სინოპსისები გვთავაზობს უფრო სრული პუბლიკაციების ყურადღებით დაწერილ დეტალურ მიმოხილვას იმ იმედით, რომ ის მკითხველს ორიგინალის გაცნობის ინტერესს აღუძრავს.

იბნ აშურის "ტრაქტატი შარიათის მიზნებისა და ამოცანების შესახებ" (არაბული ორიგინალის ინგლისური თარგმანი) სრული სახით 2006 წელს გამოიცა. თავის ნაშრომში შაიხ მუჰამმად ატ-ტაჰირ იბნ აშური ისლამური სამართლის თეორიის განახლებისთვის, რომლის სერიოზული გადამუშავებაც დიდი იმამების ეპოქის შემდეგ არ განხორციელებულა, „*მაკასიდის*" მეთოდოლოგიის გამოყენებას გვთავაზობს.

იბნ აშური - საკმაოდ გამბედავად - შუამავალ მუჰამადის (ს.ა.ს.)[1] ქმედებებისა და გადაწყვეტილებების უკან მდგომი განზრახვების (*მაკაṣიდ)* სენსიტიურ თემასაც შეეხო. სწორედ მან წარმოადგინა ისლამური სამართლის ნაწილად მიჩნეული შუამავლის ტრადიციებსა და შუამავლის ქმედებებს/გამონათქვამებს შორის განსხვავების კრიტერიუმები, რომლებიც სპეციალური მიზნისთვის იყო განკუთვნილი, როგორებიცაა, მაგალითად, პოლიტიკური ხელმძღვანელობა, სასამართლოს გადაწყვეტილებების გამოტანა, მეგობრული რჩევების მიცემა, კონფლიქტების მოგვარება და სხვა. თუმცა, ამ წიგნში მის ყველაზე მნიშვნელოვან მიღწევად უნდა მივიჩნიოთ ახალი „*მაკაṣიდის“* ისეთი თანამედროვე ტერმინოლოგიის ჩამოყალიბების გზით განვითარება, რომელიც ტრადიციულ *„უṣულ ალ-ფიკჰში“* არასოდეს ყოფილა ფორმულირებული. მაგალითად, იბნ აშურმა „მემკვიდრეობითი ხაზის დაცვის“ თეორია „ოჯახის სისტემის დაცვის“ თეორიად გარდაქმნა, „ჭეშმარიტი რწმენის დაცვა“ — „რწმენათა თავისუფლებად“ და ა.შ. მან ასევე შემოიტანა ცნებები „წესრიგი“, „ბუნებრივი მდგომარეობა“, „თავისუფლება“, „უფლებები“, „ცივილიზებულობა“ და „თანასწორობა“, როგორც თავისთავად *მაკაṣიდის* გამომხატველები და რომელსაც მთელი ისლამური სამართალი ემყარება. ამგვარი შევსება შესანიშნავ შესაძლებლობებს აძლევს ისლამურ სამართალს, რათა ამ უკანასკნელმა მუსლიმი საზოგადოებებისა და მუსლიმი უმცირესობების წინაშე არსებულ რეალურ გამოწვევებს უპასუხოს.

---

1. صلى الله عليه و سلم(*ṣალლა ლლაჰუ ‘ალაᲂჰი ვა სალლამ*) ქართულად: ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას, ეს არის ისლამური თეოლოგიური ფორმულა, რომელიც გამოიყენება, როცა წმინდა მუჰამად შუამავლის სახელი „მუჰამმადი“ იქნება ნახსენები.

იბნ აშურის ორიგინალის შემოკლებული გამოცემა

იბნ აშურის ტრაქტატი შარიათის მიზნებისა და ამოცანების შესახებ.

თარგმნილია მოჰამედ ალ-თაჰირ ალ-მესავის მიერ.

ISBN hbk: 978-1-56564-423-9

ISBN pbk: 978-1-56564-422-0 2006

6

შესავალი

შეიხი მუჰამმად ატ-ტაჰირ იბნ აშური ზაჲთუნის ყველაზე სახელგანთქმული იმამი და მე-20 საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი მუსლიმი სწავლულია. ეს წიგნი ისლამური სამართლის კვლევების სფეროში ერთ-ერთი უდიდესი სამეცნიერო მიღწევაა ინგლისურ ენაზე. იბნ აშურმა ისლამური სამართლის თეორიის განახლებისთვის, რომელიც არ შეცვლილა დიდი იმამების ეპოქის შემდეგ, მე-8 საუკუნეში აშ-შაფი'ის ეპოქიდან მე-14 საუკუნეში აშ-შატიბის ეპოქის ჩათვლით, *მაკასიდ-ის* მეთოდოლოგიის გამოყენებას გვთავაზობს. იბნ აშურის მეთოდოლოგია ცენტრისტულ პოზიციას იკავებს ორ ისეთ თანამედროვე უკიდურესობას შორის, როგორებიცაა „ნეოლიტერალიზმი", რომელიც ისლამური გადაწყვეტილებების რაციონალურ საფუძვლებსა და სანდო ინტერპრეტაციებს სიტყვასიტყვითი, ტრადიციული შეხედულებების სასარგებლოდ უარყოფს და „ნეორაციონალიზმი", რომელიც „მოდერნიზაციისა" და „რაციონალურობის" მიღწევის მიზნით მუსლიმების რელიგიურ და კულტურულ იდენტობას უგულებელყოფს.

ისლამური სამართლის მიზნები და ამოცანები ისლამურ ტექსტებსა და ისლამურ რწმენაზეა დაფუძნებული და ისლამურ მმართველობასა და გადაწყვეტილებებში განსაკუთრებით გამოყოფს ლოგიკურ დასაბუთებას, მიზნებსა და საერთო სარგებელს. იბნ აშური შუამავალ მუჰამადის ქმედებებისა და

გადაწყვეტილებების უკან არსებული განზრახვების/*მაკᾱṣიდის* მეტად სენსიტიურ საკითხსაც შეეხო. სწორედ მან წარმოადგინა განსხვავების კრიტერიუმები, ერთი მხრივ, ისლამური სამართლისთვის განკუთვნილ შუამავლის ტრადიციებს და, მეორე მხრივ, სპეციფიკური მიზნების მქონე შუამავლის ქმედებებს/გამონათქვამებს შორის. ამ წიგნის ყველაზე მნიშვნელოვან წვლილად მიიჩნევა ახალი *მაკᾱṣიდ-ის* შემუშავება თანამედროვე ტერმინოლოგიით, რომელიც ტრადიციულ *უṣūლ ალ-ფიკჰში* ადრე არასოდეს ყოფილა ფორმულირებული. იბნ აშურის მიღწევები შესანიშნავ შესაძლებლობებს აძლევს ისლამურ სამართალს, რათა ამ უკანასკნელმა მუსლიმი საზოგადოებებისა და მუსლიმი უმცირესობების წინაშე არსებულ რეალურ გამოწვევებს სათანადოდ უპასუხოს.

მუჰამმად ატ-ტაჰირ იბნ აშური 1879 წელს თუნისში, ანდალუსიური წარმომავლობის სწავლულთა ოჯახში დაიბადა. ის რეფორმებზე ორიენტირებულ *„'ულამᾱ'სთან“* (ღვთისმეტყველ-სამართალმცოდნეებთან) სწავლობდა და კლასიკური ისლამური განათლებაც მიიღო. 1932 წელს ის მოსამართლე, შემდეგ *შაიხ ალ-ისლᾱმი* გახდა და ამასთან ისლამური განათლებისა და იურისპრუდენციის რეფორმირების სფეროში ნაყოფიერი მწერალი და ავტორი იყო. იბნ აშურის 1946 წლის ნაშრომი შარიათის მიზნები და ამოცანები (*მაკᾱṣიდ ალ-შარი'ა)*, შარიათის უზენაესი მიზნების ნოვატორული, სისტემური კვლევაა.

წინასიტყვაობა

ამ წიგნში შარიათის მიზნებისა და ამოცანების მნიშვნელოვან დისკურსებია შემუშავებული, რათა აზრთა სხვადასხვაობის საკითხის განხილვისთვის ერთგვარი სახელმძღვანელოსა და შეხედულებათა სისტემის შექმნა უზრუნველყოს. წიგნის მიზანია მუსლიმების ხელშეწყობა, რათა ამ უკანასკნელთ ახალი შემთხვევების წარმოშობის დროს მათი პრობლემების გადასაჭრელად საჭირო კანონმდებლობის განვითარება შეძლონ და აღჭურვონ გადამწყვეტი მოსაზრებით სხვადასხვა სამართლებრივი სკოლების დაპირისპირებული არგუმენტების წინაშე. საბაზისო პრინციპებს შორის *(უსˈულ)* განსხვავებები მიღებულ სამართლებრივ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით კვლავაც თვალსაჩინოა, ვინაიდან „*უსˈულ ალ-ფიკჰის*“ ზოგადი წესები და უნივერსალური პრინციპები სწორედ ამ გადაწყვეტილებების განსაკუთრებული მახასიათებლებიდან იღებს სათავეს.

უსˈულ ალ-ფიკჰი არასდროს ყოფილა საბოლოო არბიტრი, რომლის ვერდიქტი უაპელაციოდ მიიღებოდა მათ მიერ, ვინც ვერ თანხმდებოდა *ფიკჰის* საკითხებზე. ამასთან, „*უსˈულ ალ-ფიკჰი*“ დიდ სამსახურს ვერ უწევს იმის განმარტებას, რაც საფუძვლად უდევს სიბრძნეს

ანუ *„ჰიქმას“* და ასევე შარიათის მიზნების ჩამოყალიბებას. ამგვარად სწავლულები, რომლებიც *„უსˈულ ალ-ფიკჰის“* საკითხის შესწავლით არიან დაკავებული, საკუთარ კვლევებში შარიათის მხოლოდ გარეგანი და სიტყვასიტყვითი ასპექტებით შემოიფარგლებიან. ჩვენ გვაღელვებს *უსˈულ ალ-ფიკჰის* ფაქტობრივი დებულებები.

შარიათის უკეთ გაგების მიზნით, ცალსახა და ერთმნიშვნელოვანი პრინციპების ჩამოსაყალიბებლად, *„უსˈულ ალ-ფიკჰის“* ტრადიციულად მიღებულ მოსაზრებებს უნდა დავუბრუნდეთ და მათი ხელახლა ფორმულირება უნდა მოვახდინოთ. შემდეგ საჭიროა მთლიანობაში მისი ხელახალი ფორმულირება და მისი დამოუკიდებელ დისციპლინად კლასიფიცირება „შარიათის უმაღლესი მიზნებისა და ამოცანების მეცნიერების“ სახელწოდებით. ეს წიგნი სამოქალაქო სამართლებრივი გარიგებებისა და ურთიერთობების მარეგულირებელ კანონებთან და ნორმებთან დაკავშირებულ ისლამის ამოცანებს იკვლევს. აღნიშნული ნორმები იმსახურებს, ექსკლუზიურად შარიათად იწოდებოდეს, ვინაიდან სწორედ ისინი ასახავენ ისლამის მიზანს, მოახდინოს სარგებლისა და ზიანის სხვადასხვა დონეების იდენტიფიცირება და გამოკვეთა და შეიმუშავოს მათი შეფასებისთვის საჭირო კრიტერიუმები.

ნაწილი 1:
შარიათის მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრა

ჩვენი მიზანია, დავამტკიცოთ, რომ ზოგადად შარიათს დიადი მიზნები და ამოცანები აქვს და წარმოვაჩინოთ, თუ რატომ უნდა იცოდეს ნებისმიერმა იურისტმა ზემოთქმული ისევე, როგორც მიზნობრივი კატეგორიები და მეთოდები მათი იდენტიფიცირებისა და დადასტურებისთვის. ნებისმიერი საღმრთო სამართლის ნორმები და დადგენილებები კაცობრიობისთვისაა დაწესებული და ღმერთის მიერ განსაზღვრული კონკრეტული ამოცანების შესრულებას ისახავს მიზნად. მან ადამიანთა მოდგმაში წესრიგის დასამყარებლად არაერთი შუამავალი წარმოაგზავნა და კანონები ზეგარდმოუვლინა. გარდა ამისა, ადამიანებს ღმერთისგან ბოძებული ცივილიზაციის განკარგვის შესაძლებლობა აქვთ, რის უმაღლეს გამოვლინებას მათი ცხოვრების მარეგულირებელი კანონების მიღება წარმოადგენს. ყურანისა და შესაბამისი შუამავლის ტრადიციების განხილვისას შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ისლამური შარიათის მიწერილობები შინაგან მიზეზებითაა განპირობებული, რომლებიც გამოხატულებას უნივერსალურ სიკეთესა და საზოგადოებისა და ინდივიდების სარგებელში პოულობს.

იურისტმა შარიათის მიზნები და ამოცანები შემდეგ დონეებზე უნდა იცოდეს: პირველ რიგში, მან გამოხატულებები და მნიშვნელობები იმ ლინგვისტური წესების გამოყენების მეშვეობით უნდა გაიაზროს, რომლებიც იურიდიულ არგუმენტაციას არეგულირებს და *„უსˈულ ალ-ფიკჰშია“* მოცემული; შემდეგ ეტაპზე მან *მუჯთაჰიდის* მიერ წინწამოწეულ ინდიკატორებში ნებისმიერი სახის დისონანსი უნდა ეძიოს და ამას უნდა მოჰყვეს შარიათის მიზნებისა და ნორმების სიღრმისეული გამოკვლევა. ანალოგიის გზით დედუქცია ძირითადი მიზეზების დადასტურებაზეა დამოკიდებული, რომელიც, თავის მხრივ, შარიათის მიზნებისა და ამოცანების ცოდნას შეიძლება მოითხოვდეს. შარიათის უზენაესი მიზნები შუამავლის ტრადიციების აღიარება, შუამავლის კომპანიონებისა და ადრეული ხანის სწავლულთა რიგებიდან გამოსული იურისტების მოსაზრებების გაზიარება და სამართლებრივი განსჯისა და არგუმენტაციის მეთოდებია.

შარიათის მიზნებისა და ამოცანების ჩამოყალიბების მეთოდები

შარიათს უზენაესი მიზნები საკუთარ კანონმდებლობაში აქვს განსაზღვრული სიქველის ნიმუშებისა და მტკიცებულებების საშუალებით. ჩვენთვის უკვე ცნობილია შარიათის რამდენიმე მიზანი და ამოცანა, რომლებიც ტრადიციულ მტკიცებულებებზეა დაფუძნებული *„უსˈულ ალ-ფიკჰ“-ში.* მიუხედავად იმისა, რომ ეს მტკი-

ცებულებები ყურანიდან მომდინარეობს, რომლის ტექ-სტი თაობიდან თაობაში უამრავი გადაცემის შედეგადაა უპირობოდ დადასტურებული, ყურანისეული მითითებე-ბის უმეტესობა სიტყვასიტყვითი კონოტაციების კატე-გორიას განეკუთვნება, რომელიც, თავის მხრივ, არა სა-ბოლოო და კატეგორიული, არამედ სავარაუდოა. *მუჯ-თაჰიდები* ვერ თანხმდებოდნენ იმ წესებისა და დებუ-ლებების ზუსტ განმარტებაზე, რომლებიც ყურანიდან მომდინარეობს.

ამ თვალსაზრისით იურისტის უმთავრესი სახელ-მძღვანელოს პრინციპი ისაა, რომ ობიექტურობისა და სამართლიანობის შენარჩუნება და წინასწარ შეგონების, *იჯთიჰადის* წინარე ვარაუდების ან დიდი სწავლულის თუ მოძღვრის მოსაზრების განყენება შეძლოს. შარია-თის მიზნებისა და ამოცანების შესახებ თემატური დას-კვნების გამოტანის მნიშვნელოვან მეთოდი მასთან სხვა-დასხვაგვარი მიდგომასა და ღონისძიებების განხორციე-ლებაში მდგომარეობს. როდესაც უამრავი გამომწვევი მიზეზის ინდუქციურ კვლევას ვაწარმოებთ, რომლებიც ერთი ძირეული სიბრძნის *(ჰიქმა)* ხარისხს იზიარებს, მათგან ერთი კონკრეტული მიზნის გამოტანა და შარია-თის სავარაუდო მიზნის გარკვევა შეგვიძლია.

გარდა ამისა, ჩვენ შარიათის იმ მოთხოვნებისა და წესების უამრავი ტექსტობრივი მტკიცებულებების კვლევაც შეგვიძლია, რომლებიც საერთო კანონის სა-ფუძველს *(ratio legis)* იზიარებენ. შედეგად, თამამად

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სწორედ ეს *ratio legis* წარმოადგენს კანონმდებლის მიერ დასახულ მიზანს.

ზოგადად, წინაპრების განცხადებები შარიათის მიზნებისა და ამოცანების მხედველობაში მიღების საჭიროების საკმაოდ ნათელ მტკიცებულებას წარმოადგენს. მათი უამრავი განცხადება ასევე მიუთითებს, რომ ისინი შარიათის მიზნებსა და ამოცანებს მის სამართლებრივ დადგენილებებშიც ეძებდნენ ინდუქციურ დასკვნებს. ყველაზე დაკვირვებული და სიზუსტის დამცველი *მუჯთაჰიდები* და თითოეული *მუჯთაჰიდის იჯთიჰადზე* დაფუძნებული მოსაზრებები მათ მიერ შარიათის მიზნებისა და ამოცანების ძიების ძალისხმევის სიღრმესა და გულისხმიერებაზეა დამოკიდებული.

ზოგი მკვლევარი ვერ ითვალისწინებს სიტყვით განხორციელებული აქტის კონტექსტს, რომელიც კონტექსტუალური მტკიცებულებებისგან, სიტყვიერი შეთანხმებებისა და ზოგადი კონტექსტისგან შედგება. იურისტები სწორედ ამ მოსაზრებების მიმართ დამოკიდებულებით განსხვავდებიან მკვეთრად ერთმანეთისგან. მიუხედავად ამისა, არავის შეუძლია გვერდი აუაროს შუამავლის ქმედებებისა და განკარგულებების გულდასმით შესწავლას. ყურადღება უნდა გამახვილდეს კომპანიონების მოსაზრებებზე იმ იურიდიულ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც გადმოცემასა და პრაქტიკაზეა დამოკიდებული. ამგვარად, როდესაც იურისტები ინტერპრეტაციის განსხვავებული შესაძლებლობების წინაშე აღმოჩდებოდნენ, ისინი განმარტებებისთვის ღმერთის შუა-

მავალს მიმართავდნენ, ისე როგორც აკვირდებოდნენ იმ გარემოებებს, რომლებსაც მათთვის კანონმდებლის მიზნის შესახებ წარმოდგენის შექმნა შეეძლო.

შუამავლის კანონმდებლობის მიზანი

შარიათის მიზნებსა და ამოცანებში გარკვევის მაძიებლის არსებითი უნარი შუამავლის სიტყვებსა და ქმედებებში განსხვავებული განზრახვების ერთმანეთისგან გამიჯვნაა. მეცნიერი შიჰაბ ალ-კარაფი პირველი იყო, რომელმაც აღნიშნული განსხვავება შენიშნა, პრაქტიკაში დანერგა და დაწერა: „ღმერთის შუამავალი (ს.ა.ს.) უზენაესი იმამია, ყველაზე კეთილგონიერი მოსამართლე და განსწავლული სამართალმცოდნე (მუფთი)... ჩვენ არ შეგვიძლია ვიფიქროთ რომელიმე რელიგიურ ფუნქციაზე მასზე ფიქრის გარეშე, როგორც ამ ფუნქციის სრულყოფილ მოდელსა და პროტოტიპზე...“ მან განაგრძო: *„... მის ქმედებებსა და საქციელს ზემოხსენებული უფლებამოსილების ფარგლებში შარიათში განსხვავებული შედეგები აქვს. შესაბამისად, ყველაფერი , რაც მან თქვა ან გააკეთა გადმოცემის და მიწოდების გზით, სავალდებულო ზოგადი წესია...“*

კომპანიონები მკაფიოდ მიჯნავდნენ ერთმანეთისგან ღმერთის შუამავლის ბრძანებებს, რომლებიც მისი, როგორც კანონმდებლის, პოზიციიდან გამომდინარეობდა და არა ამ სახის ბრძანებებს. ღმერთის შუამავლის განცხადებები ან ქმედებები შემდეგი უფლებამოსილების

სახით გამოიხატებოდა: კანონმდებლობის მიღება, ედიქ-ტების გამოცემა (ფათვა), სასამართლო გადაწყვეტილე-ბების მიღება, სახელმწიფოს პოლიტიკური მეთაურობა, ხელმძღვანელობა, დავების მოგვარება, რჩევის მიცემა იმ ადამიანებისთვის, რომლებიც მას რჩევისთვის მიმარ-თავდნენ, კონსულტაცია, სულიერი ინსპირაცია, უზენაე-სი და ამაღლებული ჭეშმარიტების სწავლება, დისციპ-ლინა და არადამრიგებლობითი ჩვეულებრივი განცხადე-ბები.

ყველა ეს უნარი კანონმდებლობის ნათელი მტკი-ცებულებაა და შარიათის წესების იმ კატეგორიების მი-ხედვით ვარირებს, რომლებიც მას ეკუთვნის. ფათვების გამოცემა და სამართლის აღსრულება კანონმდებლობის გამოყენების მაგალითებია. სახელმწიფოს უზენაესი ხელმძღვანელობის უნარი, უმეტეს შემთხვევებში, ვერ აირევა იმ უნართან, რომელიც კანონმდებლობას უკავ-შირდება. წინამძღოლობისა და ინსტრუქციების გაცემის უნარი, კანონმდებლობასთან შედარებით, უფრო ზოგა-დია, ვინაიდან ღმერთის შუამავალს შეუძლია ბრძანებე-ბი გასცეს და აკრძალოს, როცა მიზანი არა სიმტკიცის გამოვლენა, არამედ სიკეთისა და ღვთისმოსაობისკენ მი-მავალი სხვადასხვა გზების განსაზღვრაა. იურისტმა სა-გულდაგულოდ უნდა გამოიკვლიოს შუამავლის განსხვა-ვებული ქმედებების გარემოებები და არაპირდაპირი მტკიცებულებები. კონტექსტუალური მითითებები, რომ-ლებიც კანონმდებლობას ეხება, მოიცავს შუამავლის ზრუნვას თავისი სიტყვების ფართო მასებისთვის გადა-ცემის, მის მიერ თავისივე სიტყვების შესაბამისად მოქ-

მედების ვალდებულებისა და უნივერსალურ დებულებებში სამართლებრივი ბრძანების ფორმულირების თაობაზე.

შარიათის უდავო და სავარაუდო მიზნები და ამოცანები

სამართლებრივი შეცდომები საკმაოდ მძიმე შედეგების მომტანია ინდივიდებისა თუ საზოგადოებებისთვის. სწავლულებმა არასდროს უნდა განსაზღვრონ შარიათის ამოცანა მანამდე, სანამ სწავლების მეთოდთან დაკავშირებით შარიათის დამოკიდებულების ყოვლისმომცველ თემატურ კვლევას არ ჩაატარებენ და საკითხის სიღრმისეული შესწავლისთვის ისლამური იურისპრუდენციის სწავლულების ნაშრომებს არ გაეცნობიან. შეცდომის თავიდან აცილებისთვის გადამწყვეტია ამოცანებისა და ყველა სავარაუდო ასპექტის განსაზღვრის სისტემური პროცესი.

შარიათის ამოცანებში გარკვევის მაძიებლის მიერ მოპოვებულმა ცოდნამ შესაძლოა სხვადასხვა ფორმა მიიღოს, კერძოდ: უდავო, დიდწილად სავარაუდო ან სავარაუდო. იურისტებმა უნდა ჩამოაყალიბონ, დამოწმებისა ჩარჩოსა და ერთადერთი კრიტერიუმის სახით, მთელი რიგი უზენაესი ამოცანები, *ფიკჰსა* და იურიდიულ პოლემიკაში. მიზანია საბოლოოდ დადგენილი წესების წყების ფორმულირება, როგორც დამოწმების ჩარჩოსი, აზრთა სხვაობის ან წინააღმდეგობის თავიდან არიდების

მიზნით, რაც შარიათის მიზნებსა და ამოცანებს განსაზღვრავს და რაც, თავის მხრივ, *„უსˇულ ალ-ფიკჰისგან“* განსხვავდება. შესაძლო და სავარაუდო ამოცანების მიღწევა კი მარტივადაა შესაძლებელი შარიათის ნორმების პრაქტიკაში დანერგვით.

თემატური არგუმენტაცია საკმარისი სწავლულთათვის იმის დასამტკიცებლად, რომ სიმარტივის ხელშეწყობა შარიათის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. ყველა მაჩვენებელი, რომლებიც ინდუქციური კვლევის საფუძველზე გამოიკვლიეს, განმეორებადიც არის და ზოგადიც და მათი მოძიება ყურანის საბოლოო ტექსტშია შესაძლებელი. შარიათის მიზნებისა და ამოცანების გაგებისა და სწორად აღქმის ალბათობისა და ვარაუდის ხარისხი დამოკიდებულია იურისტებისთვის ხელმისაწვდომი თემატური კვლევის წყაროებისა და მაჩვენებლების ცვალებად დონეებზე.

შარიათის რაციონალიზებული და არარაციონალიზებული მიწერილობები

ფიკჰსა და „უსˇულ ალ-ფიკჰში“ იურისტების მიერ ჩამოყალიბებული მსჯელობისა და არგუმენტირების მეთოდი მხოლოდ ყურანის სიტყვასიტყვითი ფორმულირებებით, შუამავლის გამონათქვამებით, ქმედებებითა და სიჩუმით შემოიფარგლებოდა. აღნიშნული განცხადებები შესაძლოა უნივერსალურ ნორმებსა და დებულებებს წარმოადგენდეს. იურისტებმა არაერთი სპეციფიკური

გადაწყვეტილება უნივერსალური ნორმების გამომწვევი მიზეზების დადგენით ან განსაზღვრულ ნორმებში ანალოგიებით დედუქციის მეთოდით მიიღეს. ყველა სახის შესაძლო ძალისხმევის შემდეგ და კანონმდებლის სპეციფიკური განზრახვის აღმოჩენის შეუძლებლობის შედეგად, *მუჯთაჰიდი* ასკვნის, რომ შარიათი ჩვენგან უბრალოდ მოითხოვს დავემორჩილოთ ღმერთის ბრძანებებს, როგორც ჩვენი რწმენის ნაწილს.

იურისტები ამტკიცებენ, რომ შარიათის მიწერილობები ან რაციონალიზებულია ანდაც რელიგიასთან, ღვთისმოსაობასთან კავშირშია. *მუჯთაჰიდებს* ურთიერთგანსხვავებული მოსაზრებები აქვთ მეორე კატეგორიასთან დაკავშირებით. იურისტებმა კი, რომლებმაც ანალოგიური დედუქციის საკითხი განიხილეს, შარიათის მიწერილობების სამ კატეგორიად კლასიფიცირება მოახდინეს: აუცილებლად რაციონალიზებული მიწერილობები, რომლებიც გათვალისწინებულია ან რომელთა დამოწმებაც ხდება შარიათის ტექსტუალურ წყაროებში; რელიგიური მიწერილობები, რომელთა გამომწვევი მიზეზები ადამიანის აღქმის მიღმაა მოქცეული და შუალედური კატეგორია ფარული გამომწვევი მიზეზებით, მაგრამ რომელთაგანაც იურისტებს შეუძლიათ რაციონალური დასკვნები გამოიტანონ, თუმცა, შესაძლოა, ისინი ვერ შეთანხმდნენ გამოწვევი მიზეზების თაობაზე.

როდესაც იურისტები დარწმუნდებიან, რომ მიწერილობა წმინდად რელიგიურია, ისინი ვალდებული ხდებიან, შეინარჩუნონ მისი ფორმა და არ შეცვალონ ის.

იურისტებმა გულდასმით უნდა შეისწავლონ ეს ტრადიციები მათი ფარული მიზეზებითა და ამოცანებით, რათა იპოვონ შესაბამისი გზა შარიათის ამოცანის ზუსტი განმარტებისათვის. მათ მუსლიმური თემის იმ პერიოდის საერთო სიტუაციაც უნდა გაითვალისწინონ, რომელშიც აღნიშნული ტრადიციები ჩამოყალიბდა. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ შარიათის ყველა მიწერილობა კანონმდებლის მიზნებს ასახავს, რომლებიც ფუძემდებლურ მიზეზებს, სარგებელსა და ინტერესებს მოიცავს.

ნაწილი 2:

ისლამური კანონმდებლობის ზოგადი ამოცანების შესახებ

შარიათის მიზნებისა და ამოცანების განმსაზღვრელი მახასიათებელი

ისლამური კანონმდებლობის ზოგადი ამოცანები სიღრმისეული მნიშვნელობებისა და სიბრძნის შიდა ასპექტებისგან შედგება, რომელიც თავად კანონმდებლის მიერაა განსაზღვრული კანონმდებლობის რიგ სფეროებსა და გარემოებებში. მათში შედის შარიათის ზოგადი მახასიათებლები. შარიათის მიზნები და ამოცანები რეალური იდეების ან უნივერსალური, საყოველთაოდ მიღებული ზოგადი იდეების ფორმით არის წარმოდგენილი, რომელიც უდავო, ცხადი, სწორი და მუდმივი უნდა იყოს. უნივერსალური, საყოველთაოდ მიღებული იდეები

დროში ნაცადი ცნებებია, რომლებიც მათი საყოველთაო სარგებლის მოტანის მიზეზით ფართო საზოგადოებისთვის კარგად ნაცნობი და მისაღებია. რიგ ცნებებს შესაძლოა მუდმივობა აკლდეს და კეთილსა და ბოროტს შორის მერყეობდეს, შესაბამისად, ეს ცნებები ვერ იქნება სრულად მიღებული ან უარყოფილი, როგორც შარიათის ამოცანები. ნაცვლად ამისა, აღნიშნული ცნებებთან დაკავშირებით საჭიროა მუსლიმი თემის სწავლულების და მმართველების დამოწმება, რომელთაც როგორც აკრძალვის, ასევე იძულების უფლებამოსილება აქვთ. როგორც კი მსგავსი ცნებები მათთვის გათვალისწინებული პირობებით ჩამოყალიბდება, შეგვიძლია დარწმუნებული ვიყოთ, რომ ისინი შარიათის ამოცანებს წარმოადგენს.

თუკი მივიჩნევთ, რომ კანონმდებელმა მათი გამოყენება უბრალო შესაძლებლობად განსაზღვრა, იურისტებმა ისინი კერძო შემთხვევების სახით უნდა განიხილონ, რომლებიც ზოგად პრინციპებთანაა მჭიდრო კავშირში და არ უნდა ეცადნონ მათი სპეციფიკური და შესაბამის კონტექსტს მიღმა გაფართოებას. თუმცა, თუკი ისინი სავარაუდოდ შარიათის განსაზღვრულ ამოცანებს წარმოადგენენ, იურისტებს მათი ზოგად ნორმებად მიჩნევაც შეუძლიათ, რომლებიც შესაძლოა მათ სპეციფიკურ კონტექსტს გასცდნენ. რამდენადაც შარიათი წარმოსახვის ილუზიებსა და ფანტაზიებს უგულებელყოფს, მისი მიწერილობების ილუზიებზე დაფუძნება სრულიად მიუღებელია, გარდა განსაკუთრებული საჭიროებისა. წარმოსახვითი ან არამატერიალური საგნები, მიუხედავად იმისა, რომ არ შეესატყვისება კანონმდებლობის

ამოცანებს, შესაძლოა სასარგებლო აღმოჩნდეს შარიათის გარკვეული მიზნების მისაღწევად, როგორიცაა მაგალითად, ადამიანების ისლამზე მოქცევისკენ მოწოდება ან დარწმუნებისთვის ინტერესის ან შიშის აღძვრა ადამიანში.

შარიათის მიზნებისა და ამოცანების *„ფიტრასა“* და დიდსულოვნებაზე დაფუძნება

„ფიტრა“ ბუნებრივი მდგომარეობა და წესრიგია, რომელიც ღმერთმა ყოველ შექმნილ არსებაში ჩანერგა. შესაბამისად, ადამიანების ფიტრა მათი შესაქმისის შინაგანი და გარეგანი მდგომარეობაა ინტელექტსა და სხეულში. მსგავსად, შედეგების მათ გამომწვევ მიზეზებთან დაკავშირება და შესაბამისი დასკვნების გამოტანაც ადამიანის ინტელექტუალური და სულიერი მდგომარეობის ნაწილია, ხოლო მიზეზებიდან დასკვნების გამოტანა, რომლებიც რეალური არ არის, ამ ინტელექტუალურ მდგომარეობას ეწინააღმდეგება. ისლამი იმ შეხედულებებისა და ნორმებისგან შედგება, რომლებიც რაციონალურ საკითხებს წარმოადგენენ ან ისეთ საკითხებს, რომლებიც გონების მიერ აღიქმება და დასტურდება. შარიათი მის მიმდევრებს ფიტრას შენარჩუნებისა და საზოგადოებაში ამ ქმედებების დაცვისკენ მოუწოდებს. როდესაც ფიტრას მოთხოვნები ერთმანეთს ეწინააღმდეგება და შეუთავსებელია, უპირატესობა იმ მოთხოვნას უნდა მიენიჭოს, რომელიც ფიტრას შენარჩუნებისთვის უფრო ძლიერი და მნიშვნელოვანია. სამართლებრივ გა-

დაწყვეტილების მიღებისას დადგენილი ჩვეულებაზე დაყრდნობა ფიტრას მნიშვნელობიდან გამომდინარეობს, და მისი ამ მიზნით გამოყენების წინაპირობა ისაა, რომ ჩვეულება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს შარიათის დადგენილ ნორმებს.

დიდსულოვნება *(სამაჰა)* ერთმანეთთან ზომიერად ურთიერთობის სიმარტივეა. სიმკაცრესა და წინდახედულობას შორის მდგომი „სამაჰა“ საკუთარ მნიშვნელობას ზომიერების, სამართლიანობისა და თავშეკავებულობის იდეალებისგან იძენს. ზომიერება ყველა ღირსეული თვისების საფუძველია. „სამაჰა“ საქებარი სიმარტივეა ისეთ საკითხებში, რომლებშიც ადამიანები სისასტიკისკენ არიან მიდრეკილნი და ის არ იწვევს ზიანს ან საქმის გაფუჭებას. ყურანი და სუნა ადასტურებს ისლამის დიდსულოვნებას. ფუძემდებლური სიბრძნე ის არის, რომ ღმერთმა ისლამი ფიტრის რელიგიად ჩამოაყალიბა, ხოლო ფიტრასთან დაკავშირებული საკითხები კაცობრიობის სტრუქტურასა და თანდაყოლილ ხასიათს ეხება. შედეგად, *შარიათი* კომფორტის მომტანია როგორც ინდივიდებისთვის, ასევე საზოგადოებებისთვის. დიდსულოვნებამ საკუთარი მნიშვნელობა *შარიათის* გავრცელებისა და მისი ურღვევი ისტორიული უწყვეტობის პროცესში გამოავლინა. აღნიშნული კი იმის დამატებით მტკიცებულებას წარმოადგენს, რომ სიმარტივე ფიტრას საკითხია.

ისლამური კანონმდებლობის ზოგადი ამოცანები

შარიათის ზოგადი მიწერილობები და კონკრეტული მტკიცებულებები ადასტურებს, რომ ისლამური კანონმდებლობის ყოვლისმომცველი პრინციპი საზოგადოებების სოციალური წესრიგის შენარჩუნება და მათი კეთილდღეობის დაცვაა. მკაფიო და ნათელი ტექსტუალური მტკიცებულებები ადასტურებს, რომ შარიათის მთავარი ამოცანა ადამიანების ნებისმიერი სახის საქმიანობიდან ბოროტების აღმოფხვრაა.

ღვთისმოსაობა, რომელიც კანონმდებლის მიერაა განზრახული და მოწონებული, არ შემოიფარგლება რწმენით გამოხატული ღვთისნიერებით და რიტუალური ღვთისმსახურებით. უფრო მეტად, ის ადამიანებს უფლებებს ანიჭებს მათი სოციალური მდგომარეობებისა და ამქვეყნიური გარემოებების გათვალისწინებით ისევე, როგორც ეს ისლამმა გააკეთა, როდესაც როგორც ინდივიდების, ასევე თემების საკითხებს შეეხო და რწმენასა და რელიგიასთან დაკავშირებული საკითხების რეფორმირება მოახდინა. შემდგომ ისლამი ადამიანური ფსიქიკის განწმენდასა და ადამიანის სულის ამაღლებას შეეხო. შუამავლის მოწოდებიდან დაწყებული ჰიჯრის შემდგომი პერიოდის ჩათვლით ისლამურმა კანონმდებლობამ დასახული რეფორმის მისაღწევად შარიათის სტრატეგიასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი სახელმძღვანელო შეიმუშავა.

ჩვენ ამ რეფორმის მხოლოდ სპეციფიკურ ასპექ-ტებზე ვახდენთ ფოკუსირებას, რომლებიც სამოქალაქო და სოციალური საკითხების მარეგულირებელ კანონებსა და ნორმებში მუსლიმების საჯარო საკითხებს ეხება. ის-ლამურ იურისპრუდენციაში აღნიშნული ცნობილია რო-გორც კარგისა და სარგებლის მომტანის მიღწევისა და ბოროტისა და მავნესგან გათავისუფლების პროცესი.

მასْლაჰَة და *მაფსადა* შარიათში

„მასْლაჰَة“ უმაღლეს ღვთისმოსაობას და სიკეთეს ნიშნავს და ის იმ ქმედების ატრიბუტია, რომლითაც ეს ღვთისმოსაობა და სიკეთე თავს საჯაროდ ან კერძოდ იჩენს. ის ასევე გამოსადეგი და სასარგებლოა როგორც საზოგადოებისთვის, ასევე ინდივიდებისთვის. „მაფსადა“ „მასْლაჰَას“ ანტონიმია და იმ ქმედების მახასიათებელია, რომლის მეშვეობითაც ზიანი და ბოროტება თავს იჩენს საზოგადოებაში ან ინდივიდებში. საზოგადოებრივი ინ-ტერესი კოლექტიურ ვალდებულებებს ეხება, რომელთაც უმმას განმტკიცება და გაძლიერება შეუძლიათ. კერძო ინტერესი კი ინდივიდებისთვისაა სარგებლის მომტანი და საზოგადოების სასარგებლოდ განხორციელებული ინდივიდების ქმედებებში ღვთოსმოსაობასა და სიქველეს ასახავს. ყურანისეული კანონმდებლობის ნაწილი და სუ-ნას უდიდესი ნაწილი სწორედ „მასْლაჰَას“ კატეგორიას ეხება.

ამ მიწერილობის მიზანი რთულ ხანებში ნუგეშისცემის ზოგადი და მნიშვნელოვანი ამოცანის შესრულებაა, იმგვარად რომ აღნიშნული ამოცანა საზოგადოებაში მიღებული ნორმა გახდეს, რათა ადამიანები ძნელბედობის ჟამს ერთმანეთს გვერდში ამოუდგნენ და სამომავლო უბედურებების გამკლავება ერთობლივად შეძლონ. მსოფლიოს წესრიგისა და კეთილდღეობის შესანარჩუნებლად, შარიათმა ადამიანების სასიცოცხლო და უცვლელი ინტერესები მუდმივი დაცვის ქვეშ მოაქცია, იმ სიტუაციებშიც კი, როდესაც ნათელია სარგებლის მიღების შეუძლებლობა. მკაფიო ფორმულირების ჩამოყალიბება, რომლითაც ქმედების მახასიათებელი განისაზღვრება ან „მასلაჰ̣ად“ ან „მაფსადად”, დელიკატური საკითხია და მეტად ფრთხილ და ზუსტ გამოხატვას საჭიროებს.

კონკრეტული ქმედება რომ *მასلაჰ̣ად ან მაფსადად* მივიჩნიოთ, სარგებელი ან ზიანი ზუსტად განსაზღვრული და მუდმივი, ამასთანავე ისეთი გავრცელებული და ცხადი უნდა იყოს, რომ რაციონალურმა და გონიერმა ადამიანებმა შეძლონ მისი გაცნობიერება, ქმედების მახასიათებლები კი ვერ ჩანაცვლდება სხვა რაიმეთი ვერც სარგებლის მოტანის და ვერც ზიანის მიყენების თვალსაზრისით. სარგებლისა და ზიანის ასპექტიდან ერთ-ერთი, მიუხედავად იმისა, რომ ერთი მეორე საპირისპიროს ექვივალენტურია, მისივე სახის ქმედებით უნდა დადასტურდეს, რაც მის მეორე ასპექტზე უპირატესობას ნათლად წარმოაჩენს; სარგებლისა და ზიანის ასპექტებიდან პირველი მკაფიო და ზუსტი უნდა იყოს, ხო-

ლო მეორე, გაურკვეველი და დაუდგენელი. კანონმდებ-ლობა, რომელიც *„მასᾸლიჰის“* აღქმას ეხება, არ მოიცავს არავითარი ფორმით *მაფსადას*, ხოლო კანონმდებლობა, რომელიც *„მაფᾸსიდის“* პრევენციას ისახავს მიზნად, შე-დეგად *მასᾸლაჭას* სრულ უგულებელყოფას არ გულის-ხმობს. რეალურად, მთელი ისლამური კანონმდებლობა მასᾸლაჭას შესახებ ცნობიერების ამაღლებისკენაა მიმარ-თული. აბსოლუტური და უპირატესი მაფსადა, რომელიც სრულად გადაწონის მასᾸლაჭას, მკვეთრად ვარირებს სა-კუთარი ტიპის მიხედვით.

ყველა შესაძლო ვარიანტის გათვალისწინებით, *მასᾸლაჭა* ორი ძირითადი სახისაა: პირველი ადამიანების-თვის აშკარა სარგებელს მოიცავს, მათ იმდენად ღრმად გაიდგეს ფესვები ადამიანების შინაგან ბუნებაში, რომ ისინი მთელი ძალისხმევით ცდილობენ მათ მიღებას, რამდენადაც ჩანს, რომ მისაღებია; მეორე ტიპი ისეთ სარგებელს აერთიანებს, რომელიც ნაკლებად თვალსაჩი-ნოა. შარიათი ბევრად უფრო მეტადაა დაკავებული ცხა-დი სარგებლის მიღებაში ხელისშემშლელი გარემოებების აღკვეთით. ნაკლებად ცხადი სარგებლის *მასᾸლაჭა* პოზი-ტიურად აღიქვა ისლამურმა კანონმდებლობამ, რომელ-მაც განამწესა ის და გარკვეული სანქციებიც კი დააწესა მისი უგულებელყოფისა და დარღვევისთვის.

ცხადი სარგებლის გარკვეული ვარიანტები შესაძ-ლოა ნაკლებად ცხად კატეგორიაში მოექცეს ზოგიერთი ზიანის მომტანი გავლენის მიზეზით, რომლებმაც შესაძ-ლოა ადამიანების შინაგან ბუნებაზე იქონიოს გავლენა.

მათ, ვინც შარიათს უჭერს მხარს და ვისაც მისი საკანონმდებლო ნორმების ახსნა შეუძლიათ, მტკიცედ უნდა აღუდგნენ წინ ამ გადახვევებსა და შეუსაბამობებს იმ სახის სწავლებით, რომელიც ხელს შეუწყობს ნებისმიერი ზედაპირული იდეისა და ზიანის გამოვლენასა და აღმოფხვრას. როდესაც გარკვეული გადახვევები მხოლოდ იმ ადამიანს ეხება, რომელმაც ეს ჩაიდინა, გამოსავალი მორალური შეგონება და შესაბამისი განათლების მიცემაა. საპირისპიროდ, თუკი ისინი სხვა ადამიანების უფლებებს არღვევენ და მათთვის ზიანის მომტანნი არიან, ერთადერთი გამოსავალი დასჯაა. შარიათი განსხვავებული სახის „მასᲗლიჰᲗის“ დასაცავად საკუთარ სტრატეგიას დიდი სიფრთხილითა და წინდახედულობით იყენებს, მასლაჰას ორი კატეგორიის ფარგლებში ადამიანების ქცევის შეფასების შესაბამისად.

შარიათი ყოველთვის იცავს სათანადოდ დაუფასებელ *მასᲗლაჰᲗას,* იქნება ეს კერძო თუ საჯარო, როგორც საჯარო და კერძო უფლებების დაცვის მექანიზმს. როდესაც *მᲗსლაჰᲗას* ორ განსხვავებულ ასპექტს შორის წინააღმდეგობა წარმოიშობა, უპირატესობა მათგან უფრო დიდსა და მნიშვნელოვანს ენიჭება. შარიათის ისწრაფვის საკუთარი ამოცანების რეალიზებას მთელი საზოგადოებისთვის, ყოველგვარი სირთულის ან კონფლიქტის გამოწვევის გარეშე, შესაძლებლობის ფარგლებში, მიზნების, რომლებსაც მისი მიწერილობები და კანონები ითვალისწინებს, სხვადასხვა ასპექტების ერთმანეთთან შეთანხმების გზით. ამ გზით საზოგადოება ამ მიზნების

დაბალი საფეხურიდან მაღალ საფეხურზე ადის, რამდენადაც გარემოებები იძლევა ამის შესაძლებლობას. *ფიტ*-*რას* შეუძლია იმ საფუძვლით უზრუნველგვყოს, რომლის მეშვეობითაც შეგვიძლია შარიათის ის ნორმები დავუკავშიროთ ადამიანის ბუნების დაცვის ან დემორალიზაციის საკითხს, რომელიც *მასᵭალიჭისა* და *მაფᵭსიდ*ს შორის კონფლიქტს ეხება.

ქვემოთ მოცემულია მაგალითები და ანალოგიები *მასᵭალიჭისა*, რომლებსაც შარიათი შესაბამისად წარმოაჩენს და *მაფᵭსიდისა,* რომლებსაც ის გაურბის, რათა *მაკᵭსიდ*-ის შემსწავლელებმა შეძლონ კანონმდებლის განზრახვის აღმოჩენა და სწორედ მის გზას გაყვნენ სხვადასხვა *მასᵭალიჭ*ისა და *მაფᵭსიდ*თან მიმართებაში მათი მიღების ან უარყოფისას საზოგადოებაში არსებული გარემოებების გათვალისწინებით. ამ უნარის შეძენა მნიშვნელოვანია, რამდენადაც *მასᵭალიჭი* ურიცხვია და საზოგადოების ღვთისმოსაობასა და კეთილდღეობაზე გავლენის კუთხით საკმაოდ განსხვავდება. აღნიშნულის გათვალისწინებით, მხოლოდ იმ *მასᵭალიჭის* შევეხებით, რომლის შესახებაც დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ შარიათშია მოცემული.

მასᵭალიჭ-*ის* კლასიფიცირება შესაძლებელია საზოგადოებისა და ინდივიდების არსებობისთვის მათი გავლენისა და საჭიროების მიხედვით. ჩვენი მიზანი *მასᵭალიჭის* იმ ნაირსახეობებში კარგად გარკვევაა, რომლებიც შარიათშია განსაზღვრული, რათა მათი უნივერსალური ხასიათის

შესახებ სრულყოფილი ცოდნა მივიღოთ. მხოლოდ ამის შემდეგ შეგვიძლია მათი კლასიფიცირება და შეფასება შესაბამისი ნორმების მიხედვით. შარიათმა აღნიშნული ტექსტუალური შეზღუდვები დატოვა, თუმცა ისინი სახელმძღვანელო პრინციპის სახით იკითხება. *მასḷაlიჭის* დამახასიათებელი თავისებურებები ალბათობისა და გაურკვევლობის საგანს წარმოადგენს და იმ მტკიცებულებებს ეფუძნება, რომლებიც შესაბამისი ანალოგიის განსხვავებულ ტიპებს, საერთო მახასიათებლების იდენტიფიკაციასა და საწყის და ახალ შემთხვევებს შორის დადგენილი მსგავსებების სიზუსტეს ეფუძნება. საპირისპიროდ, *მასḷაlიჭის* ტიპის შესახებ მტკიცებულება შარიათის თემატურ-ინდუქციური კვლევიდან გამომდინარეობს, რომელიც უეჭველობას სძენს მას.

მასḷაlიჭის იდეის გაგება ნებისმიერი იურისტისთვის ყველაზე მკაფიო და მარტივი გზაა საზოგადოებრივი საკითხების მოსაგვარებლად. თუკი *მასḷაlიჭს* სხვა სახის *მასḷაlიჭი* ეწინააღმდეგება, ისინი შესაბამისი წესების მიხედვით უნდა განისაჯოს, რაც თავის მხრივ უფრო ღრმა და დამოუკიდებელ განსჯასა და დაფიქრებას მოითხოვს. ეს განსჯა ვარირებს მათი უეჭველობის ხარისხის დონის მიხედვით, რაც გამომდინარეობს ორივე სახის *მასḷაlიჭ-ის* მნიშვნელობიდან, ასევე ღირებულებიდან და სიძლიერიდან.

ისლამური შარიათის უნივერსალური პრინციპები

შარიათი, ადამიანებისთვის ზეგარდმოვლენილი საბოლოო სამართალი, თავისი არსით უნივერსალურია, შესაბამისად მისი ნორმები და მიწერილობები შეძლებისდაგვარად თანაბრად უნდა გავრცელდეს ყველა ადამიანზე. ღმერთმა შარიათი შინაგან სიბრძნესა და ფუძემდებლურ მიზეზებზე დააფუძნა, რომელთა აღქმაც შესაძლებელია და ამასთან ისინი არ იცვლება ხალხისა და ჩვეულებების შესაბამისად.

მიუხედავად შარიათის უნივერსალურობაზე ერთხმად შეთანხმებისა, მუსლიმმა მეცნიერებმა ვერ მოახერხეს იმის ჩვენება, თუ როგორ გამოიხატება ეს ერთსულოვნება. შარიათის ფუნდამენტური ნორმები, უნივერსალური პრინციპები, მიწერილობები და აკრძალვები ნებისმიერ ვითარებაში ყოველგვარი სირთულისა და პრობლემების შექმნის გარეშე გამოიყენება, ხოლო ხალხებისა და ერების სიტუაციები საუკუნეების განმავლობაში ისლამის სწავლებებს ყოველგვარი სირთულის გარეშე ერგებოდა. შარიათის შესაბამისობის ეს სახეები ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული და ურთიერთშემავსებელია. შარიათის თანდაყოლილმა სიბრძნემ და სარგებელმა შესაძლოა სხვადასხვა სახის ნორმაში ჰპოვოს ასახვა, რომლებიც ფორმით მრავალფეროვანია, თუმცა მიზნით ერთიანია.

შარიათის უნივერსალურობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგი თანასწორობის საკითხია საზო-

გადოებაში. თუმცა, შარიათი გაურბის თანასწორობისა და მსგავსების იარლიყის მიკერებას იმ ყველაფრისთვის, რაც ადამიანის საწყის ბუნებაში სხვადასხვაგვარია. აღნიშნული განსხვავებულობა სოციალური და სამოქალაქო სისტემების მიერ უნდა მოგვარდეს ისლამის პოლიტიკის შესაბამისად და არა მისი ფუძემდებლური სამართლებრივი ნორმების მეშვეობით. ადამიანების თანასწორობა უზრუნველყოფილია ისლამურ კანონმდებლობაში. ინდივიდების ან ჯგუფების თანასწორობის დამყარებისთვის ისლამურ კანონმდებლობაში, არ მოგვეთხოვება აღნიშნულის მიზეზების ძიება; საკმარისია დავრწმუნდეთ, რომ არაფერი ეწინააღმდეგება თანასწორობას.

თანასწორობის ხელისშემშლელი გარემოებები თანასწორობის შეჩერებას ან გაუქმებას გარკვეული დომინირებადი *მასლაჰა*-ს ან *მაფსადა*-ს განხორციელების შედეგად საჭიროებს. აღნიშნული დაბრკოლებები ამ ფუნდამენტური პრინციპის გაუქმებაზე გავლენის მიზეზით, რომელიც ისლამურ კანონმდებლობაში ნორმას წარმოადგენს, შემთხვევითად მიიჩნევა. იმ წინააღმდეგობების ხარისხის შეფასების კრიტერიუმები, რომელთაც ადამიანებს შორის თანასწორობის მოსპობა შეუძლიათ, გულდასმითი რაციონალური განხილვის პროცესიდან ან კოდიფიცირებული სამართლის ნორმებიდან გამომდინარეობს.

თანასწორობის ხელისშემშლელი გარემოებები შარიათის ზოგიერთ სფეროში შესაძლოა თანდაყოლილი და ბუნებრივი, სამართლებრივი, სოციალური ან პოლი-

ტიკური იყოს. აღნიშნული ვითარება შესაძლოა მუდმივი ან დროებითი, მნიშვნელოვანი ან უმნიშვნელო იყოს. ბუ-ნებრივი, სამართლებრივი და სოციალური მოსაზრებები მორალურ ქცევასთან, სხვათა უფლებების დაცვასთან და ისლამური თემის საქმეების ეთიკურ მართვასთანაა დაკავშირებული. პოლიტიკური მოსაზრებები ისლამური პოლიტიკური ძალაუფლების დაცვას ისახავს მიზნად. შარიათი კი დამოწმების წყაროს და სახელმძღვანელოს წარმოადგენს აღნიშნული დაბრკოლებების აღმოჩენისა და მათი ზეგავლენის განსაზღვრის პროცესში იმ კონ-კრეტული სამართლებრივი ნორმების მხედველობაში მი-ღებით, რომელთა აღსრულება თანასწორობის უზრუნ-ველყოფაზე უპირატესია.

პერსონალური საქმეების მოგვარებისას თანასწო-რობის უზრუნველყოფა შარიათის ერთ-ერთი უპირვე-ლესი და უმთავრესი ამოცანაა. არაბული ტერმინი *„ჰ̣ურრიჲჲა“* ერთმანეთისგან გამომდინარე ორი მნიშვნე-ლობის მატარებელია. პირველი მნიშვნელობა მონობის საპირისპიროა და ნებისმიერი რაციონალური და ზრდას-რული ადამიანის ძირითად უნარს გამოხატავს, რომ სა-კუთარი საქმეები სურვილისამებრ მართონ. მეორე მნიშ-ვნელობა პირველისგან გამომდინარეობს მეტაფორული გამოყენების გზით. ის ადამიანის უნარს გამოხატავს, იმოქმედოს თავისუფლად სხვის მიერ ხელის შეშლის გა-რეშე. თავისუფლების სწორედ ეს ორი მნიშვნელობა არის განსაზღვრული შარიათის მიერ, ვინაიდან ორივე მათგანი *„ფიტრადან“* (ბუნებრივობა) გამომდინარეობს და თანასწორობის ცნებას ასახავს.

პირველი მნიშვნელობის გამოყენება შარიათში საყოველთაოა და კარგად არის ჩამოყალიბებული. საჯარო და თანაზიარი ინტერესების გათვალისწინებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში შარიათის მიერ გამოვლენილმა წინდახედულობამ და გულმოდგინებამ ხელი შეუშალა მას მონობის ყველა ფაქტორის ერთბაშად აღმოფხვრაში, ისლამის მოვლინებაში მის მიერ შეტანილი ისტორიული წვლილის გამო. თავისი მიზნების მიღწევის პროცესში ისლამი მუდმივად ცდილობდა სწორი ბალანსის პოვნას თავისუფლებასა და წესრიგის შენარჩუნებას შორის, მონობის გავრცელების მექანიზმების ნაცვლად თავისუფლების მიღწევის მექანიზმების წინწამოწევის გზით. ის მონობის გამომწვევ მიზეზებს მისი რაოდენობის შემცირებით შეებრძოლა და მონობის გამომწვევი ბევრი ფაქტორი აღმოფხვრა.

გამოხატვის თავისუფლება და ცოდნის ძიება ყველაზე კარგად გამოვლინდა ისლამური ისტორიის პირველი სამი საუკუნის განმავლობაში, როდესაც სწავლულებს თავისუფლად შეეძლოთ საკუთარი აზრებისა და დოქტრინების გაჟღერება. გამოხატვის თავისუფლების გარეშე ჩვენებები, ხელშეკრულებები, ვალდებულებები, განქორწინების განცხადებები და ანდერძები მოკლებული იქნებოდა სამართლებრივ ძალას. ეს ქმედებები იურიდიული ძალის არმქონეა, თუკი მათი გაფორმება იძულებით მოხდა. ქმედების თავისუფლება, რომელიც სხვებზე ახდენს გავლენას, კანონიერია, თუკი ზიანის მომტანი არ არის. შარიათმა არაერთი გზით შეძლო მოქმედების თავისუფლების დაცვა ყველა იმ საშუალე-

ბის ბლოკირებით, რომელთაც მისი ხელყოფის გამოწვევა შეეძლოთ.

ამოცანები, ატრიბუტები და მიზნები შარიათში

ისლამურმა კანონმდებლობამ ორმაგი მეთოდი შეიმუშავა, რომელიც სახეცვლილებასაც მოიცავს და დადასტურებასაც. ერთი მეთოდი გულისხმობს დეკადენტობის აღმოფხვრას და მისი რღვევის გამოცხადებას. ცვლილება ადამიანის კეთილდღეობის მიზნით შესაძლოა სამომავლო შეზღუდვასაც გულისხმობდეს. მას შესაძლოა შედეგად შემწყნარებლობაც მოჰყვეს, რათა ექსტრემიზმს მოუღოს ბოლო. ადამიანების საქმეების ბრძნული და გამიზნული ცვლილების ერთ-ერთი ასპექტი მასზე ზრუნვა და მისი პირდაპირი შესრულებაა, ვინაიდან ზერელე მიდგომა მას ორივე მხრიდან უქმნის საფრთხეს. მეორე მეთოდი იმ სასარგებლო პრაქტიკის დადასტურებაში მდგომარეობს, რომელსაც ადამიანები იცავდნენ.

დასაშვებობის სამართლებრივი ნორმის დადასტურება ექსტრემისტების ზღვარგადასულობის აღმოსაფხვრელად არის საჭირო, მათი წაქეზებით, რათა ის გააკეთონ, რაც ნორმალური და მისაღებია გონიერი და კეთილშობილი ადამიანების უმრავლესობისთვის. დადასტურება ყველა იმ ილუზიის გაქრობასაც მოითხოვს, რომლებიც ადამიანებს შეიძლება გაუჩნდეთ და რომელთა მეშვეობითაც მათ არწმუნებენ, რომ კეთილი საქმეე-

ბი რეალურად ბოროტებაა, როდესაც მათ არაღვთისმოსავი ადამიანები სჩადიან. გარდა ამ და მსგავსი მიზეზებისა, კანონმდებლის დუმილი იმის დადასტურებად მიიჩნევა, რასაც ადამიანები აკეთებენ. ამგვარად, დასაშვებობა შარიათის უპირველესი ნორმაა, ვინაიდან მისი შესწავლის საგანი ურიცხვი სახესხვაობებია. სახეცვლილება და დადასტურება მთელ კაცობრიობას ეხება.

შარიათის მიზანი მის ყველა ნორმასა და მიწერილობაში, ამ ნორმებისა და მიწერილობების ტიპების ინდივიდუალურად და კოლექტიურად ადამიანების ქცევაში სხვადასხვა მდგომარეობასთან, ატრიბუტებთან და ქცევებთან დაკავშირებაა. ეს ასოცირება სწორედ იმ მდგომარეობების, ატრიბუტების და ქცევების არსებით მნიშვნელობებზეა დაფუძნებული, რომლებსაც სამართლიანობამდე და სარგებლამდე ან უსამართლობამდე და ზარალამდე მივყავართ. ანალოგიურად, მავანმა თავიდან უნდა აიცილოს იმის მცდარი რწმენა, რომ რიგი ნორმები და აკრძალვები უბრალოდ საგნების სახელებთან ან მათ გარეგნულ ფორმებთანაა დაკავშირებული შარიათით განსაზღვრული არსებითი მნიშვნელობების მხედველობაში მიღების გარეშე, ვინაიდან ზემოთქმულმა ის, შესაძლოა, *ფიკჰის* მძიმე დარღვევამდე მიიყვანოს. ისლამური სამართლებრივი ტერმინები მხოლოდ კანონმდებლის მიერ გამიზნული იმ მნიშვნელობების შესაბამისად უნდა განიმარტოს, რომლებიც ისლამური ტერმინოლოგიის ჩამოყალიბების პროცესში ამ ტერმინებით განსაზღვრულ პრაქტიკას ეხება. როდესაც განსაზღვრული

პრაქტიკა იცვლება, საკუთრივ ტერმინიც კარგავს ღირებულებას.

შარიათის დეტალურმა ინდუქციურმა კვლევამ *უმმას* სწავლულები დაარწმუნა, რომ ისინი აუარაცხელ სხვადასხვა საქმეებსა და დეტალებს არაერთმნიშვნელოვნად უდგებოდნენ, უქვემდებარებდნენ რა მათ ერთ ზოგად წესს, იმ შემთხვევების გამოკლებით, რომლებიც საერთო სპეციფიკურ ატრიბუტებს მოიცავდნენ. სწავლულები ადრეული ხანების პრაქტიკის მარეგულირებელ შარიათის ნორმებს უფრო ახალ პრაქტიკას უსადაგებდნენ იმ მახასიათებლებზე დაყრდნობით, რომლებიც უდევს საფუძვლად კანონმდებლობასა და შარიათის მიწერილობების პრაქტიკულ განხორციელებას. იმ ანალოგიების მნიშვნელობა, რომლებიც კანონმდებლის მიერ განზრახულ მნიშვნელობას ეხება, ზუსტი და ცხადია და დამატებით მაგალითითაა გამყარებული. მეცნიერების მიერ ალეგორიებისა და ანალოგების გამოყენება არსებითად მნიშვნელოვანი იყო ზუსტი მნიშვნელობებისა და დაფარული ჭეშმარიტების გასამჟღავნებლად. ამგვარად, ალეგორიები და ანალოგები იურისტებს უფრო ღრმა მნიშვნელობებისა და მათი უმაღლესი სახეობის ძიების დამატებითი ძალისხმევისგან ათავისუფლებს. ისლამური იურისპრუდენციის წამყვანი მეცნიერები ვერ თანხმდებოდნენ ანალოგიების სასჯელების, გამონაკლისებისა და შეღავათების, ისე როგორც გამომწვევი მიზეზების, პირობებისა და დაბრკოლებების მიმართ მათი გამოყენების თაობაზე.

შარიათის კონტექსტში მანიპულაცია იმ პრაქტიკას მიესადაგება, რომლის აკრძალვა კანონიკურია. მიუხედავად ამისა, მანიპულაცია თავის თავში არ მოიცავს იმისკენ სწრაფვის სურვილს, რომ კანონიერი ქმედება სხვა გზით ან სხვა საშუალებების დახმარებით განხორციელდეს. ალ-ბუხარი ადამიანების სხვადასხვა ქმედების შესაბამისად იმოწმებს შუამავლის იმ ტრადიციებს, რომლებიც, თავის მხრივ, სხვადასხვა ხერხს უგულებელყოფდა და მათი კლასიფიცირება მოახდინა იურისტების მსგავსად, ადამიანთა ნაღვაწთან დაკავშირებული სხვადასხვა ქმედებების მიხედვით.

სხვადასხვა ხერხში, რომლებიც შარიათის აკრძალვებისგან თავის დაღწევის მიზნით გამოიყენება და რომელსაც შარიათის ამოცანების ნაწილობრივ ან სრულ უგულებელყოფამდე მივყავართ, მანიპულაცია ერთ კონკრეტულ სახეს არ ატარებს. სხვადასხვა ხერხს შარიათის წყაროებში შემდეგი ქმედებების განხორციელება შეუძლიათ: შარიათის ამოცანის სრული უგულებელყოფის გამოწვევა მისი სხვა ამოცანით ჩანაცვლების გარეშე; ერთი კონკრეტული სწორი პრაქტიკის უგულებელყოფა მეორე კანონიერი ქმედებით ჩანაცვლების მიზნით; შარიათში გაწერილი პრაქტიკის უგულებელყოფა სხვა უფრო მარტივ პრაქტიკაზე გადასვლის მიზნით; ისეთ ქმედებებში გამოყენება, რომლებიც არ მოიცავს კანონმდებლის მიერ ჩაფიქრებულ მნიშვნელოვან განმარტებებს და არ ეწინააღმდეგება კანონმდებლის განზრახვას.

იმ ქმედებების ანულირება, რომელთაც მნიშვნელოვანი ზიანის გამოწვევა შეუძლიათ, თუმცა ბოროტებას არ წარმოადგენენ, მჭიდროდ არის დაკავშირებული მანიპულაციასთან. მიუხედავად ამისა, ზოგი ადამიანი სხვადასხვა ხრიკს იყენებს გარკვეული ვალდებულებების კანონის დარღვევის გარეშე აარიდოს თავი ზოგიერთი მოვალეობის შესრულებას - იმგვარად, რომ მათი საქციელი, ერთი შეხედვით, სრულად შეესატყვისება შარიათის ნორმებს. შარიათი ცდილობს საშუალებად გამოყენებული ქმედების შინაგანი სიქველე მის შესაძლო ბოროტ და საზიანო შედეგებთან დააბალანსოს. შესაბამისად, საკითხი იმ ნორმას ექვემდებარება, რომელიც *მასʿალიჰისა* და *მაფᲗსიდს* შორის არსებულ წინააღმდეგობას არეგულირებს.

შარიათი იმ საკითხებს არეგულირებს, რომლებიც განსაზღვრავს, თუ რა არის კარგი და მათ გარკვეულ სავალდებულო წესებს უქვემდებარებს, მაშინაც კი, თუ მათმა ფორმალურმა გამოვლინებამ მათი აკრძალვა ან უბრალო დაშვება გამოიწვიოს. აღნიშნული *„უსʿულ ალ-ფიკჰში“* შემდეგი ავტორიტეტული თვალსაზრისითაა ცნობილი: „ის, რაც რაიმე აუცილებლის მიღწევის საშუალებას წარმოადგენს, თავადაც აუცილებელია“ და ეს არის მუსლიმური თემის უსაფრთხოების დაცვის საშუალება.

სიზუსტე, სიმტკიცე და მოწყალება ისლამურ კანონმდებლობაში

გამომდინარე იქედან, რომ შარიათის ერთ-ერთ მიზანს ასევე წარმოადგენს მისი მიწერილობების მარტივად შესრულება ადამიანების მიერ ნებისმიერ ვითარებაში, მისი დამახასიათებელია სიზუსტე და სიმტკიცეც საკუთარი მნიშვნელობის მკაფიოდ და ცხადად ქცევისთვის. ამასთანავე, შარიათის მიერ აღნიშნული მახასიათებლების ჩამოყალიბების მიზანი სწავლულთათვის კანონმდებლობის ფუძემდებლური მნიშვნელობების განმარტება იყო. იურისტები შარიათის სწორედ ცხად და მუდმივ მახასიათებლებზე, როგორც მიწერილობებისა და ნორმების საფუძველზე, ახდენენ ფოკუსირებას. ისინი ასევე ცალსახად აღიარებენ, რომ ამ მახასიათებლების არსებობა იმ ძირითად მნიშვნელობას გამოხატავს, რომელსაც შეიძლება სიბრძნე ეწოდოს. შარიათი ამ მეთოდებს დაბნეულობის თავიდან აცილების მიზნით იყენებს, რათა ნათლად განსაზღვროს არსი და მნიშვნელობები.

შარიათის ერთ-ერთ მიზანს ის წარმოადგენს, რომ მისი კანონმდებლობა გამოიყენებოდეს და დაცული იყოს საზოგადოებაში, ვინაიდან მის მიერ განსაზღვრული სარგებლის მიღება შეუძლებელია მისი ნორმების ზედმიწევნით შესრულებისა და დაცვის გარეშე. აღნიშნული ამოცანის მისაღწევად ორი ძირითადი მეთოდი გამოიყენება: ერთ-ერთი მეთოდი მისი ნორმების შესრულების პროცესში სიმკაცრისა და სიმტკიცის გამოყენებაა, ხო-

ლო მეორე მეთოდი სიმარტივისა და მოწყალების იმ გზით გამოყენებაა, რომელიც მისი ამოცანების უგულებელყოფას არ გამოიწვევს.

შარიათის სამართალი სიმარტივისა და მოწყალების ყველა შესაძლო საშუალებას იყენებს, რათა ადამიანებს შარიათის ნორმების შესრულებისკენ და იმის გაცნობიერებისკენ უბიძგოს, თუ რა არის მათთვის სარგებლის მომტანი. შარიათის ნორმები და ბრძანებები, უმეტესწილად, ადამიანების ცხოვრების საერთო და ზოგადი მახასიათებლების მხედველობაში მიღების გზით მიღებულ სიმარტივეზეა დაფუძნებული. გარკვეულ პირობებში შარიათი საკუთარი ნორმებისა და დებულებების სიმკაცრესა და შეზღუდვებს სიმარტივითა და შეწყალებით ცვლის და ამგვარად იმ გარემოებებს ამსუბუქებს, რომლებმაც შესაძლოა სირთულეები გამოიწვიოს და წინაღობები შექმნას.

შარიათი არ ცდილობს ადამიანებისთვის ზედმეტი ტვირთის აკიდებას, ან მათზე დამატებითი ვალდებულებების დაკისრებას. ის პრაქტიკული სამართალია, რომელიც მიღწევადი მიზნების რეალიზებისკენაა მიმართული, რომელთა მიღწევა მხოლოდ ლმობიერების გამოყენებით არის შესაძლებელი. ისლამური სამართლის უმთავრესი მახასიათებელი კანონმდებლობაში მკაცრი შურისძიების თავიდან აცილებაა. როდესაც ისლამი გარკვეულ პრაქტიკას აკანონებს ან საკუთარ კანონმდებლობას ამსუბუქებს, ის რეალურად სწორედ მისი აშკარა

მახასიათებლის, დიდსულოვნების, შესაბამისად მოქმედებს.

იურისტებმა დასაშვებობის ზოგიერთი ასპექტები უკუაგდეს და უგულებელყვეს. ისინი თანხმდებიან, რომ დასაშვებობა კონკრეტული ინდივიდებისთვის ან საზოგადოებისთვის განსაზღვრული ქმედების შეცვლაში მდგომარეობს, კერძოდ, რიგი იძულებითი გარემოებების გავლენით, სიმკაცრისა და სირთულის სიმარტივითა და შემწყნარებლობით ჩანაცვლებაში, რომელიც შარიათისგან თავის განზრახვაზე უარის თქმას მოითხოვს, კერძოდ, სარგებლის მიღების ან ბოროტების აღმოფხვრის მიზანზე.

მოთხოვნილება ჩვეულებრივ ზოგადი და მუდმივია. ის იმ პრაქტიკის შესახებ უნივერსალური კანონმდებლობის საფუძველს წარმოადგენს, რომელიც თავდაპირველად აკრძალული ქმედებების ზოგად კატეგორიებს მიეკუთვნება. იმ ზიანის მიუხედავად, რომელიც შესაძლოა ზოგმა პრაქტიკამ გამოიწვიოს და იმ ალბათობის მიუხედავადაც, რომ ამ სახის პრაქტიკას შესაძლოა ფინანსური ზარალიც ახლდეს თან და მათი აკრძალვა გახადოს საჭირო, ისინი მაინც დაშვებულია საზოგადოების მხრიდან მათზე დიდი მოთხოვნილების გათვალისწინებით. იურისტებმა მუდმივი, ზოგადი საჭიროება უნდა მიიღონ მხედველობაში, რამდენადაც მთელი საზოგადოება ან მისი დიდი ნაწილი შესაძლოა ისეთ სიტუაციაში აღმოჩნდეს, რომ კონკრეტული მიზნის მისაღწევად გარკვეული აკრძალული ქმედების დაშვების მოთხოვნა მოუწიოთ.

შარიათის აღსრულება და დაცვა თანდაყოლილ თვითშეზღუდვას მოითხოვს. ადამიანები ინსტინქტურად ეძიებენ გარკვეულ სარგებელს ან გაურბიან გარკვეულ ბოროტებას. არ არის რთული რელიგიურ-სულიერი თვითშეზღუდვის გარდასახვა ბუნებრივ ინსტინქტში, რომელიც ყველა სახის არასასურველ ქცევას გმობს. როდესაც რელიგიურ-სულიერი თვითშეზღუდვა სუსტდება, შემდეგი საფეხური სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული კონტროლი ხდება. სწორედ მმართველების პასუხისმგებლობაა ამ თვითშეზღუდვის შენარჩუნება და მისი უგულებელყოფისგან ან ძირის გამოთხრისგან დაცვა.

შარიათის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენს საკუთარი მიწერილობების სხვადასხვა აუცილებელ მახასიათებელზე დაფუძნება და მათი საჭიროებისამებრ შეცვლა. ისლამური შარიათი უნივერსალური და მარადიულია, ხოლო გარემოებების ცვლილება მარადიული საღვთო სამართლის მკაფიო ასპექტია.

ნებისმიერი გარიგების შარიათისეულ ახსნას ორმაგი მიზანი აქვს. ზოგჯერ მისი მიზანი ადამიანების მუდმივი და უნივერსალური ნორმით შებოჭვაა, როგორიცაა მაგალითად, მევახშეობის აკრძალვა. სხვა შემთხვევებში, მისი მიზანი ადამიანებს შორის გარკვეული გადაწყვეტილებების ფორმულირებაა, რომლის მეშვეობითაც კონკრეტული სამართლებრივი გადაწყვეტილება უნივერსალური საკანონმდებლო ნორმების აღსრულებას წარმოადგენს. რამდენადაც ჩვენ გარკვეული საშუალებების

ბლოკირებას ისლამური კანონმდებლობის ერთ-ერთ ფუნდამენტურ ნორმად განვიხილავთ და იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული ნორმა მხოლოდ გარკვეული გარემოებების ფარგლებში მოქმედებს, სწორედ *მუჯთაჰიდებმა* უნდა განსაზღვრონ, თუ როდის უნდა იყოს აღნიშნული საშუალებები დაბლოკილი და როდის - არა.

შარიათის მიზანი მყარი და სტაბილური საზოგადოებრივი წესრიგის მშენებლობაში

შარიათის უმთავრეს მიზანი სტაბილური სოციალური სისტემის მქონე ძლიერი საზოგადოების ჩამოყალიბება და მისი საკითხების მოწესრიგებული ფუნქციონირებაა კეთილდღეობის მიღწევისა და ბოროტების აღმოფხვრის გზით. მუსლიმური თემი ინდივიდ მუსლიმად უნდა წარმოვიდგინოთ და თემის არსებობის პირობები ისევე უნდა დავუქვემდებაროთ შარიათის ნორმებს, როგორც ამას ინდივიდების შემთხვევაში ვაკეთებთ, რათა ნათელი წარმოდგენა შევიქმნათ იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა გამოიყენებოდეს ისლამური სამართლებრივი ნორმები საზოგადოებრივი საკითხების დასარეგულირებლად. საშუალებების შეზღუდვა, ტექსტუალურად დაურეგულირებელი ინტერესების მხედველობაში მიღება და დასაშვებობის წესები იმ არსებით მახასიათებლებს წარმოადგენს, რომლებიც მთელ თემს ეხება და იშვიათად გამოიყენება ცალკეული ინდივიდების მიმართ.

სწავლულთა მოვალეობაა საზოგადოების პრობლემებისთვის შარიათით ნასაზრდოები გადაჭრის გზების მოძიებაა. ღმერთმა არაერთი თემი გააკრიტიკა საკითხების მხოლოდ ზედაპირული მნიშვნელობების გაზიარების გამო მათი უფრო გულდასმით განხილვასა და უფრო სიღრმისეული მნიშვნელობების ძიებაზე უარის თქმის მიზეზით. შესაბამისად, *იჯთიჰადი* მუსლიმური თემის კოლექტიურ ვალდებულებას წარმოადგენს თავისი სხვადასხვა ხალხისა და ქვეყნის მოთხოვნილებებისა და გარემოებების გათვალისწინებით. აქედან გამომდინარე, მთელი მუსლიმური თემი სცოდავს, რადგანაც თავს ვერ ართმევს ამ მოვალეობას, როდესაც ამის საშუალებაც და ინსტრუმენტებიც ხელმისაწვდომია.

იჯთიჰადის განხორციელებაში წარუმატებლობის ნეგატიური შედეგი ნათლად იჩენს თავს მუსლიმთა ცხოვრების იმ ასპექტებში, რომლებიც დიადი *მუჯთაჰიდი* სწავლულების მოღვაწეობის შემდეგ შეიცვალა. მუსლიმებს ისეთი სწავლულები სჭირდებათ, რომელთაც განსხვავებული სამართლებრივი სკოლების შეფასება და იმის განსაზღვრა შეუძლიათ, თუ რომელ სკოლას უნდა მიენიჭოს უპირატესობა, რათა მუსლიმებმა შეხმატკბილებულად იმოქმედონ. ყველა ამ საფეხურზე შარიათის სიღრმისეული კვლევისა და განხილვის გადაუდებელი აუცილებლობა არსებობს, რათა მისი პირველადი და მეორადი ამოცანები განისაზღვროს, ისე როგორც ადრეული ხანის მუჯთაჰიდების დოქტრინების მოქნილობა თუ სიხისტე.

ამ საკვანძო ინტელექტუალური და სამეცნიერო ამოცანის მისაღწევად პირველი ნაბიჯი სხვადასხვა ისლამურ ქვეყნებიდან ყველა სამართლებრივი სკოლის წარმომადგენელი შარიათის გამოჩენილი მეცნიერების შემადგენლობით სპეციალიზებული ორგანოს შექმნაა. ამ მეცნიერებმა უნდა შეისწავლონ და განიხილონ *უმმას* სასიცოცხლო მოთხოვნილებები, რათა მუსლიმური თემისთვის პრობლემების გადაჭრის შეთანხმებული გზები შეიმუშაონ. კიდევ ერთი ვალდებულება შარიათის იმ სწავლულთა იდენტიფიცირებაა მსოფლიოს მასშტაბით, რომლებმაც მიაღწიეს ან თითქმის მიაღწიეს *იჯთიჰადის* დონეს. გარდა ცოდნისა, მეცნიერების ამ ჯგუფმა შარიათის სამართლიანობა, პატიოსნება და ვალდებულებების დაცვა თავიანთ პირად ცხოვრებაშიც უნდა დანერგონ, რათა *უმმას* სრული ნდობა გაუჩნდეს მათი განსწავლულობისადმი.

ნაწილი 3:

შარიათის მიზნები და ამოცანები: (*მაკᾱსიდ აშ-შარī'ა*): ადამიანური ურთიერთობები

ქვემოთ წარმოდგენილია გამოყენებითი იურისპრუდენციის ლიტერატურაში მოცემული სხვადასხვა სახის ურთიერთობის ზოგიერთი კონკრეტული ამოცანა, რომლებიც კანონმდებლობისა და ადამიანთა შორის გარიგებების განსხვავებულ სფეროებში შარიათის უფრო მაღალ მიზნებზე ფოკუსირდება.

მიზნები და საშუალებები გარიგებებში

ეს საკითხი ადამიანური ქცევისა და სოციალური ურთიერთქმედებების სფეროში შარიათის წესების შესწავლის აუცილებელი წინაპირობაა. მისი ამოცანა მიზნების საშუალებებისგან გამიჯვნაა, რომელთაგან პირველს შარიათი, რეალიზაციისა და პრევენციის მიზნით, პრიორიტეტს ანიჭებს, ხოლო საშუალებებს მეორე ადგილი უკავიათ, ვინაიდან ისინი რაღაც სხვაზეა დამოკიდებული. შარიათის ნორმების შესწავლის საგანი ორ კატეგორიაში ექცევა: მიზნები და საშუალებები. მიზნები *(მაკᾱსიდ) მაṣᾱლიḥისა* და *მაფᾱსიდისგან* შედგება, ხოლო საშუალებები - ამ მიზნების მისაღწევი გზებისა და მეთოდებისგან.

მიზნები იმ სახის ქმედებების ტიპებია, რომლებიც საკუთარი სარგებლობისთვისაა და იყოფა იმ ქმედებებად, რომლებიც კანონმდებლის მიზნებზეა დაფუძნებული და იმ ქმედებებად, რომლებიც ადამიანების მიზნებზეა დამყარებული. ეს ამოცანები კანონმდებლის მიერ მნიშვნელოვანი მიზნის მისაღწევ ან კერძო ქმედებებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის მეთოდებს წარმოადგენს. მეორე კატეგორია, რომელიც ნაკლებად მნიშვნელოვანი და ასევე ნაკლებად გავრცელებულია, იმ ამოცანებისგან შედგება, რომლებსაც ადამიანების ან ინდივიდების განსაზღვრული ჯგუფები ისახავენ. ზემოხსენებული ამოცანების ორი კატეგორიაც კვლავ ორ ჯგუფად იყოფა - ღმერთის უფლებებად და ადამიანების უფლებებად. ამ უფლებების ბუნება იმგვარია, რომ არავინაა უფლებამოსილი, ისინი უგულებელყოს, ვინაიდან ისინი შარიათის უნივერსალური და საბოლოო ამოცანების მიღწევისა და დაცვის საშუალებებს წარმოადგენენ.

ტერმინი *„ვასპ'ილ“* იმ ნორმებს მიესადაგება, რომლებიც კანონმდებლის მიერ იმ შუალედური ამოცანების მიღწევის საშუალებად არის განსაზღვრული და რომლებიც, თავის მხრივ, საბოლოო ამოცანების მიღწევის საშუალებაა. მათ გარეშე შარიათის მიზანი შესაძლოა მთლიანად უგულებელყოფილი იყოს ან მისი სრულად მიღწევა ვერ მოხერხდეს. საშუალებებში შედის ის მიზეზები, რომლებიც შარიათის ნორმებსა და მათი აღსრულებისთვის საჭირო პირობებს განსაზღვრავს და დაბრკოლებების არარსებობასაც მოიცავს. სწორედ ამიტომ

იქცა ის ისლამური იურისპრუდენციის ერთ-ერთ მაქსიმად: თუკი ამოცანა უქმდება, ასევე უქმდება მისი მიღწევის საშუალებებიც. ეს განხილვა იმ საშუალებებსაც ეხება, რომლებიც შარიათის ამოცანების მისაღწევადაა აუცილებელი.

პრინციპები და უფლებათა კატეგორიები შარიათში

უფლებების მინიჭების მარეგულირებელი პრინციპების განსაზღვრა ადამიანებს შორის გარიგებების, სამართლებრივი ურთიერთობების საუკეთესო და ყველაზე მყარი საფუძველია. ის იმ ორ მნიშვნელოვან ამოცანას ასრულებს, რომლებიც შესაბამისი პირებისთვის უფლებების მინიჭების საფუძველს წარმოადგენს. ამგვარი პრინციპების განსაზღვრა მოსამართლეების, მმართველებისა და მოდავე მხარეების უფლებების კონსოლიდირებასა და განმარტებას ახდენს.

შარიათის ძირითადი ამოცანა განსხვავებული უფლებების განსაზღვრაა იმ ადამიანების კატეგორიების შესაბამისად, რომლებსაც ეს უფლებები აქვთ მინიჭებული, ასევე ზოგიერთი ადამიანისთვის გარკვეული უფლებების ფარგლებში სხვა ადამიანებთან შედარებით პრიორიტეტების მინიჭება და იმის დემონსტრირებაა, თუ როგორ უნდა გადაინაწილონ ადამიანებმა საერთო რესურსების გამოყენებისგან მიღებული სარგებელი. კონკრეტულ უფლებებთან დაკავშირებული ნორმების მთავარი არსი ორ ძირითად პრინციპამდე შეგვიძლია დავიყვა-

ნოთ: თანდაყოლილი ნორმები ან შეუვალი უფლებები და ერთი ინდივიდისთვის ან ინდივიდთა ჯგუფისთვის სხვა ინდივიდთა ჯგუფთან შედარებით გარკვეული უფლებების ჭრილში უპირატესობის ან პრეფერენციის მინიჭება, რომელთა გამოყენებაც ადვილად ხდება. უფლებები, მათი ძირითადი მიზეზების სიძლიერის გათვალისწინებით, შემდეგი სახის კატეგორიებად კლასიფიკაციას შეიძლება დაექვემდებაროს: საწყისი თანდაყოლილი უფლებები, იდენტობის განმსაზღვრელი უფლებები და უფლებები რესურსებზე.

სამართლის განსხვავებული სისტემები ოჯახის ერთობის ფუძემდებლურ მნიშვნელობას უსვამს ხაზს, რათა შთამომავლობა მათი იდენტობის შესახებ ეჭვებისგან დაიცვას. ისლამურმა შარიათმა, ყველა სარწმუნო კანონის მხედველობაში მიღებით, ყველაზე სამართლიანი, დასაბუთებული და უზენაესი ნორმები დააწესა ოჯახის ინსტიტუტის რეგულირებისა და ფუნქციონირებისათვის. ოჯახთან დაკავშირებული ნებისმიერი კანონმდებლობის ყველაზე მნიშვნელოვანი პრინციპი ქორწინებისა და ნათესაური კავშირების კონსოლიდირებაზე უნდა უნდა იყოს ფოკუსირებული და აღნიშნული კავშირების გაწყვეტის მეთოდებიც უნდა განსაზღვროს, როდესაც ეს კავშირები ანულირებას ექვემდებარება. შარიათის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანა ქორწინების ინსტიტუტის მნიშვნელობის ხაზგასმაა, ვინაიდან სწორედ ის წარმოადგენს ოჯახის უმთავრეს პრინციპს.

სახელშეკრულებო ფორმა, რომელიც საქორწინო კავშირის ყველაზე შესატყვისი სახით გასამყარებლადაა აუცილებელი, მეორადია ქორწინების არსისთვის. ქორწინების მარეგულირებელი ძირითადი და დამხმარე ნორმებით შედგენილი *მასალიჰ*ის ჩვენმა სიღრმისეულმა ანალიზმა, რომლისგანაც აღნიშნულ ინსტიტუტთან დაკავშირებული შარიათის ამოცანების განსაზღვრაა შესაძლებელი, საშუალება მოგვცა, ორი ფუნდამენტური პრინციპი გამოგვეყო. პირველი პრინციპი მიზნად ისახავს, მკვეთრად გამიჯნოს ერთმანეთისგან საქორწინო კავშირი და ქალისა და მამაკაცის ურთიერთობის ყველა სხვა შესაძლო ფორმა. მეორე პრინციპი კი იმას უსვამს ხაზს, რომ ქორწინება დროებით საფუძველზე არ ფორმდება და იგი მორალური დაცვის ერთგვარ ფორმას წარმოადგენს.

გარიგებები

შარიათი უაღრესად დაინტერესებულია ეკონომიკური კეთილდღეობით. ყურანის ლექსები და შუამავლის ტრადიციები საკუთრებასა და სიმდიდრეს ადამიანთა საზოგადოების საქმიანობების ღერძად და მისი ყველა პრობლემის გადაჭრის გზად განიხილავს. ჩვენ საკმაოდ დამაჯერებელი მტკიცებულებები გვაქვს იმასთან დაკავშირებით, რომ საკუთრებასა და სიმდიდრეს მნიშვნელოვანი სტატუსი ენიჭება შარიათში. მართლაც, ეკონომიკურ საკუთრებაზე ზაქათი ისლამის მესამე ბურჯს წარმოადგენს. საზოგადოების კეთილდღეობასთან და სიმ-

დიდრესთან დაკავშირებით შარიათის მთავარი ამოცანა მისი დაცვა და გაზრდაა.

შარიათმა შემდეგი ფაქტორები გამოყო, როგორც ქონების შეძენისა და საკუთრების უფლების მოპოვების ერთადერთი საშუალებები: რაიმეს ექსკლუზიური ფლობა, რისი უფლებაც სხვას არავის აქვს; მიწის ნაკვეთზე მუშაობა მიწის მესაკუთრესთან ერთად და ერთი საგნის სხვა საგანზე გაცვლა. კონკურენტუნარიანობა გულისხმობს სიმდიდრის სამართლიან ცირკულაციას მაქსიმალურად ბევრი ადამიანის ხელში. შესაბამისად, ის შარიათის ერთ-ერთ დიდ ამოცანას წარმოადგენს. კონკურენტუნარიანობის მიზნის მისაღწევად სხვადასხვა საკითხის მარეგულირებელი გარიგებების დადება დაიწყო, რათა ფინანსური უფლებების გადაცემის რეგულირება მომხდარიყო.

შარიათის ამოცანების რომლებიც ყველა სახის ეკონომიკურ კეთილდღეობას ეხება, კლასიფიცირება შემდეგ კატეგორიებად შეიძლება მოხდეს: კონკურენტუნარიანობა, გამჭვირვალობა, დაცვა, გამძლეობა და სამართლიანობა. შარიათით დადგენილი ცირკულაციის ერთ-ერთი მნიშვნელობა საზოგადოების შეძლებისდაგვარად ბევრი წარმომადგენლის ხელში სიმდიდრის ცირკულაციაა იმ ადამიანებისთვის ზიანის მიყენების გარეშე, ვინც ქონება კანონიერად მოიპოვა. შარიათმა ადამიანების ქონებაზე საკუთრების ექსკლუზიური უფლება აღიარა და მათ საკუთრების სურვილისამებრ განკარგვის უფლება მიანიჭა სიცოცხლის განმავლობაში. ამ გზით ის

ფულის გამომუშავებასა და დაგროვებას ახალისებს და იმედოვნებს, რომ საზოგადოების ზოგადი კეთილდღეობისა და ამ პროგრესის გზაზე დაბრკოლებების აღმოფხვრის მიზანს მიაღწევს.

სიმდიდრისა და ქონების დაგროვების კუთხით გამჭვირვალობის მოთხოვნის მიზანი ზიანისა და დავების შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად თავიდან აცილებაა. სწორედ აღნიშნული მიზნის მისაღწევად დადგინდა გირაოები და შეიქმნა სხვადასხვა სახის დოკუმენტაცია. ნებისმიერმა ადამიანმა, რომელსაც ნებისმიერი სახის სიმდიდრე ებოძა, ეს ქონება ღმერთის მიწერილობების შესაბამისად უნდა დაიცვას. შარიათის ნორმები გარიგებების კანონიერებას და ამ გარიგებების პირობების შესრულების საკითხს არეგულირებს. საკუთრებასთან და ფლობასთან დაკავშირებული გარიგებების კანონიერად ან ბათილად ცნობის მარეგულირებელი ნორმების დაწესება სწორედ ფინანსურ გარიგებებთან დაკავშირებულ შარიათის მიზანს მიესადაგება.

სხვადასხვა სახის ფინანსურ გარიგებებში შარიათის მთავარ მიზანს ეკონომიკური კეთილდღეობის მიღწევა წარმოადგენს როგორც ინდივიდებისთვის, ასევე საზოგადოებისთვის. შრომა სიმდიდრის ერთ-ერთ საბაზისო ელემენტია და დანარჩენი ორის გამოყენების საშუალებას წარმოადგენს. იმ ადამიანთა შორის, რომელთაც შრომისა და წარმოების უნარი შესწევთ, ბევრია ისეთიც, რომელთაც არავითარი კაპიტალი, რომელიც მათ სამეწარმეო შრომის საშუალებას მისცემდა, არ გა-

აჩნიათ ან მათი სამეწარმეო პოტენციალის შესაბამის საკმარის კაპიტალს არ ფლობენ. დიდი ალბათობით, ბევრ შემთხვევაში შესაძლოა კაპიტალი და შრომა საკმარისად პროდუქტიულად ვერ გამოიყენებოდეს. აღნიშნული კი უდავოდ დიდ დანაკარგს წარმოადგენს მშრომელთათვის, კაპიტალის მფლობელთათვის და ზოგადად მთელი საზოგადოებისთვის.

ამ პრობლემის გადასაჭრელად სწორად მოაზროვნე ადამიანებს გზა გაეკვალათ კაპიტალისა და გამოცდილი სამუშაო ძალის კომბინირების საშუალებების აღმოსაჩენად, რომლებიც ორივე მხარისთვის სარგებლის მომტანია. შესაბამისად, ისლამური კანონმდებლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა ყოველთვის ის იყო, რომ არცერთი მხარისთვის არ შეეშალა ხელი და აღნიშნული ამოცანის მისაღწევად საუკეთესო მეთოდი გამოეყენებინა სამართლიანად. ყველა სახის გარიგებაში შარიათის მთავარ მიზანს მშრომელთა უფლებების დაცვა წარმოადგენდა სპეციფიკური პირობების დაწესების საშუალებით, რათა მათი შრომა ფუჭი ან დაუფასებელი არ ყოფილიყო.

შარიათი შემდეგ პრინციპებს უჭერს მხარს: შრომითი ხელშეკრულებების რაოდენობის გაზრდა; რისკის გათვალისწინება, რომლებიც დამახასიათებელია მსგავსი გარიგებებისთვის; ყველაფრის თავიდან აცილება, რამაც მსგავს გარიგებებში შესაძლოა მშრომელის ზედმეტად დატვირთვა გამოიწვიოს; ზეპირად დადებული შეთანხმებების სავალდებულო ხასიათის არაღიარება;

მშრომელთათვის დამატებითი შეღავათების მინიჭების წახალისება, რომლებიც აღემატება მათ მიერ გაწეული შრომის სანაცვლოდ მიღებულ შეღავათებს; მშრომელთათვის მათ მიერ სამუშაოს დასრულებისთანავე კუთვნილი ანაზღაურების მიცემა ყოველგვარი დაყოვნების გარეშე; მშრომელთა იმ საშუალებებით უზრუნველყოფა, რომლებიც სამუშაოს დასრულებისთვისაა საჭირო, ვინაიდან არ შეიძლება მისი იძულება სამუშაო საკუთარი სახსრებით შეასრულოს; ყველა იმ პირობისა და გარიგების თავიდან აცილება, რომლებიც შესაძლოა მონურ შრომას ან შრომით ექსპლუატაციას გაუთანაბრდეს.

ჩუქების ან შემოწირულობის მარეგულირებელი გარიგებები უმეტესწილად საზოგადოების წევრებს შორის ურთიერთდახმარების ცნებაზეა დაფუძნებული. ეს ნორმები მოქალაქეობის ინსტიტუტს ამყარებს, ემსახურება შარიათის უზენაეს ამოცანებს და ისლამურ სათნოებას ნათლად წარმოაჩენს. გზად ისინი დახმარებას უწევენ უპოვართ და ამდიდრებენ ღარიბებს. შარიათი შემდეგ პრინციპებს უჭერს მხარს: შემოწირულობებისა და საჩუქრების რაოდენობის გაზრდა მათი კერძო და საჯარო სარგებლის გათვალისწინებით; იმ სახის შემოწირულობების მხარდაჭერა, რომლებიც ნებაყოფლობითია და ძალდაუტანებელი; დონორების სურვილების შესაბამისად, საქველმოქმედო შეთანხმებების კანონიერების საშუალებების მიმართ ტოლერანტობისა და მოქნილობის გამოჩენა; შემოწირულობის განხორციელების აქტი, რომელიც სხვათა უფლებების შეზღუდვასა და დარღვევას არ იწვევს.

სასამართლოს წარმართვა, ჩვენებები და სასჯელები/ჯარიმები

მუსლიმურ თემს ისეთი მმართველები უნდა ჰყავდეს, რომლებიც მათ საჯარო საქმეებს გაუძღვებიან და სამართლისა და შარიათის ნორმების შესაბამის აღსრულებას უზრუნველყოფენ. აღნიშნულის მთავარი მიზეზი კი ისაა, რომ ისლამური შარიათი, რომელიც ადამიანების ურთიერთობებისა და მათი შესაბამისი უფლებების მარეგულირებელ კოდექსს წარმოადგენს, ადამიანებს მხოლოდ იმიტომ მიეწოდათ, რომ მათი მიზნების მიღწევა ყოფილიყო შესაძლებელი. შარიათის ერთ-ერთი უზენაესი ამოცანა, მისი ადამიანებისთვის გადაცემის შემდეგ, საკუთარი ძალაუფლების განსაზღვრა, ნორმების აღსრულება და მისი უზენაესობის დანერგვა უნდა იყოს.

ნებისმიერი სამართლებრივი სისტემის (ამ შემთხვევაში შარიათის) დასანერგად უზრუნველსაყოფად ადამიანები ღრმად უნდა განიმსჭვალონ ამ სამართლებრივი სისტემის სიწმინდის მიმართ. რეალურად, კანონის სამართლიანობის რწმენა ადამიანების მისდამი ნებაყოფლობით მორჩილებას განაპირობებს. შარიათის ამოცანები იმ კატეგორიის ადამიანებისთვისაა გამიზნული. ამ ამოცანების მიზანია უფლებამოსილებით მათი აღჭურვა, ვინ ამას იმსახურებს ამოცანების ფუძემდებლური პრინციპებისა და სპეციფიკური წესების შესაბამისად. ნებისმიერ თანამდებობაზე დანიშნულ არცერთ პირს არ აქვს უფლება საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში იმოქმედოს მანამდე, სანამ მისი ქმედება სარგებლის მომტანი

(მასلაჰა) ან ბოროტების *(მაფსადა)* შემაკავებელი არ იქნება.

შარიათის ყველა დებულება ნებისმიერ საკითხში საზოგადოების მდგომარეობის გაუმჯობესებაზეა ორიენტირებული. შარიათის მიერ დაწესებული ყველა შეზღუდვა - დაკავება, სასჯელი და ფიქსირებული ჯარიმაც ექსკლუზიურად ადამიანების მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ არის მიმართული. შარიათის ერთ-ერთი მიზანი თემში სოციალური წესრიგის დაცვაა, აღნიშნული მიზნის მიღწევა კი მხოლოდ უთანხმოებისა და აგრესიის ყველა წყაროს დაბლოკვითაა შესაძლებელი. ამ წყაროების დაბლოკვა კი თავისთავად მხოლოდ მაშინ წარმოადგენს სამართლიან პოლიტიკას, როდესაც ის შეუცდომელ შარიათზეა დაფუძნებული და ლეგიტიმური ხელისუფლების მიერ სრულდება. შარიათის უზენაესი ამოცანა ინდივიდებისა და საზოგადოების რეფორმირებაა. ის მსხვერპლთა დაკმაყოფილებას დამნაშავეთა დასჯისა და მათ მიმდევართა დაკავების ფორმით ისახავს მიზნად.

დასკვნა

იმედია, ეს წიგნი სასარგებლო იქნება იურისტებისა და სიღრმისეული ცოდნის მაძიებელთათვის, რათა მათ საკუთარი აზროვნებისა და აღქმის უნარის უფრო მაღალ საფეხურზე აყვანა შეძლონ და მეტი სიმტკიცე გამოიჩინონ შარიათის უზენაესი მიზნებისა და ამოცანების დაცვასა და აღსრულებაში.

ავტორი

მუჰამმად ატ-ტაჰირ იბნ აშური 1879 წელს დაიბადა თუნისში და 1973 წელს გარდაიცვალა. მან თავისი საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ადმინისტრაციული მოღვაწეობის ხანგრძლივი და დეტალური გამოცდილება, ასევე მრავალფეროვანი სამეცნიერო პუბლიკაციებისა და სტატიების მდიდარი მემკვიდრეობა დატოვა, რომელსაც მეცხრამეტე და მეოცე საუკუნის თუნისში სწორი არ ჰყავს და რომელთაგან ბევრი დღემდე ელის კრიტიკულ კვლევასა და გამოცემას.

გამომცემლობა „**უნივერსალი**"

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4, ☎: 5(99) 17 22 30, 5(99) 33 52 02

E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

იასი-ს წიგნების ადაპტირებული სერია წარმოადგენს ინსტიტუტის ძირითადი პუბლიკაციების ღირებული კოლექციას, რომელიც შემოკლებული ფორმით არის დაწერილი, რათა მკითხველს სრული ვერსიის შესახებ ძირითადი წარმოდგენა შეუქმნას.

შეიხ მუჰამმად ათ-თაჰირ იბნ აშური ზაითუნას ყველაზე გამოჩენილი იმამი და მე-20 საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი მუსლიმი მეცნიერია. შეიხ იბნ აშურის ტრაქტატი შარიათის მიზნებისა და ამოცანების შესახებ თარგმანის ინგლისურ ენაზე გამოცემა ისლამური სამართლის სწავლების სფეროში ერთ-ერთი უდიდესი სამეცნიერო მიღწევაა. იბნ აშური ისლამური სამართლის თეორიის განახლებისთვის, რომელსაც ცვლილება დიდი იმამების ეპოქის შემდეგ არ განუცდია, *მაკასიდის* მეთოდოლოგიის გამოყენებას გვთავაზობს. იბნ აშური შუამავალ მუჰამადის (ს.ა.ს) ქმედებებისა და გადაწყვეტილებების უკან არსებული განზრახვების/*მაკასიდის* სენსიტიურ საკითხსაც შეეხო. სწორედ მან წარადგინა ისლამური სამართლის ნაწილად მიჩნეული შუამავლის ტრადიციებსა და შუამავლის ქმედებებს/გამონათქვამებს შორის განსხვავების კრიტერიუმები, რომლებიც სპეციალური მიზნისთვის იყო განკუთვნილი, როგორებიცაა, მაგალითად, პოლიტიკური ხელმძღვანელობა და დავების მოგვარება. თუმცა აღნიშნულ წიგნში მის ყველაზე მნიშვნელოვან მიღწევად მიიჩნევა ახალი *მაკასიდის* იმ თანამედროვე ტერმინოლოგიის ჩამოყალიბების გზით განვითარება, რომელიც ტრადიციულ *უსულ ალ-ფიკჰში* იმ დრომდე არ ყოფილა ფორმულირებული. მაგალითად, იბნ აშურმა „მემკვიდრეობითი ხაზის დაცვის“ თეორია „ოჯახის სისტემის დაცვის“ თეორიად გარდაქმნა, „ჭეშმარიტი რწმენის დაცვა“ – „რწმენათა თავისუფლებად“ და ა.შ. მან შარიათის მიზნებისა და ამოცანების სახით ისეთი ცნებებიც წარმოგვიჩინა, როგორებიცაა: „წესრიგი“, „ბუნებრივი წყობა“, „თავისუფლება“, „უფლებები“, „თავაზიანობა“ და „თანასწორობა“, რომლებზეც მთელი ისლამური სამართალი დგას. აღნიშნული განვითარება შესანიშნავ შესაძლებლობებს აძლევს ისლამურ სამართალს, რათა ამ უკანასკნელმა მუსლიმი საზოგადოებებისა და უმცირესობების წინაშე არსებულ რეალურ გამოწვევებს უპასუხოს.

International Institute of Islamic Thought